MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

ISET POLICY INSTITUTE
International school of economics at TSU

შვედეთი Sverige

UNDP

საქართველოში მცირე და საშუალო ზომის საწარმოების (SME) რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) ჯესჯის მეთოდოლოგიის შემუშავება და საქართველოს მთავრობის შესაძლებლობების განვითარება RIA – SME ჯესჯის პრაქტიკაში გამოყენებისათვის

RIA – SME ჯესჯის მეთოდოლოგია

ავტორები

ლორენცო ალიო

ნორბერტო პინიატი

დავით კეშელავა

მარიამ ლობჯანიძე

ანა ბურდული

მარიამ კაცაძე

შენიშვნა: მომზადებულია ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის მიერ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და შვედეთის ხელშეწყობით. გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს დონორი ორგანიზაციების თვალსაზრისს.

მოკლე მიმოხილვა

დოკუმენტში აღწერილია მცირე და საშუალო საწარმოების რეგულირების ზეგავლენის ტესტის (შემდგომში, RIA-SME ტესტი) მეთოდოლოგიის მთავარი ასპექტები. აღნიშნული დოკუმენტი შეიქმნა *„საქართველოში მცირე და საშუალო ზომის საწარმოების (SME) რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) ტესტის მეთოდოლოგიის შემუშავება და საქართველოს მთავრობის შესაძლებლობების განვითარება RIA-SME ტესტის პრაქ-ტიკაში გამოყენებისათვის"* პროექტის შედეგად, რომელიც დაფინანსდა გაეროს განვი-თარების პროგრამის (UNDP) მიერ და განხორციელდა ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელობით.

წინამდებარე დოკუმენტი მნიშვნელოვანია პროექტის გუნდისთვის, როგორც მეთო-დოლოგიის ირგვლივ მიმდინარე საკითხების განხილვის თვალსაზრისით, ასევე, მისი სამომავლო განვითარების მიმართულებით.

დოკუმენტის პირველადი ვერსია შეიმუშავა პროექტის საერთაშორისო კონსულტანტმა, ლორენცო ალიომ, ხოლო შემდგომში, 2024 წლის 23 მაისის შეხვედრის შედეგად სამუშაო გუნდის შიდა კონსულტაციების შესაბამისად, დოკუმენტი განახლდა.

ძირითადი ასპექტები

- ✔ წინამდებარე მეთოდოლოგია წარმოადგენს ძირითად სახელმძღვანელო დო-კუმენტს საქართველოს მთავრობისთვის, ტიპიური RIA-SME ტესტის ჩატარების პროცესში;
- ✔ RIA-SME ტესტი ავსებს და ეფუძნება რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) პროცედურას. შესაბამისად, შემუშავებული მეთოდოლოგია იყენებს იმ ცნებებს და მეთოდებს, რომლებსაც მოიცავს საქართელოს მთავრობის 2020 წლის 17 იანვრის N35 დადგენილება *„რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ"* (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2020);
- ✔ პროექტის მიზანია, პრაქტიკული და მომხმარებელზე ორიენტირებული სახელ-მძღვანელოს შექმნა, რომელიც ინტეგრირებული იქნება Excel-თან. აღსანიშნავია, რომ მეტი სიმარტივისთვის, Excel-ში მოცემული იქნება მარტივი მაგალითები და წინასწარ გააქტიურებული ფორმულები. ასევე, გარკვეულ შემთხვევებში, რაო-დენობრივი მაგალითები საქართველოში უკვე განხორციელებული რეგულირების ზეგავლენის შეფასებების (RIA) ანგარიშებიდან იქნება მოყვანილი;
- ✔ მეთოდოლოგია მოიცავს ვიზუალურ მასალას და კითხვა-პასუხის ტიპის სახელ-მძღვანელო ინფორმაციას;
- ✔ ამ მიზნით, დაიწყო და მომავალშიც გაგრძელდება RIA-SME ტესტთან დაკავში-რებული მითითებებისა და სახელმძღვანელო პრინციპების რამდენიმე საერთა-შორისო მაგალითის განხილვა[1]. აღნიშნული მაგალითები სიღრმისეულად არის განხილული წინამდებარე სახელმძღვანელოში.

1. შესაბამისი დოკუმენტების მნიშვნელოვანი რაოდენობა განხილულია.

სარჩევი

RIA-SME ტესტის მეთოდოლოგიაში გამოყენებული ტერმინოლოგიის ლექსიკონი 5

I. შესავალი 9
I.1. მეთოდოლოგიის მიზანი და სტრუქტურა 9
I.2. რატომ საჭიროებს მცირე და საშუალო საწარმოები განსაკუთრებულ ყურადღებას 9
I.3. მცირე და საშუალო ზომის საწარმოების არსებული მდგომარეობა საქართველოში 13
I.3.1. მოკლე ეკონომიკური მიმოხილვა 13
I.3.2. ზოგადი მოთხოვნები და სტრუქტურა 15

II. RIA-SME ტესტი – სამუშაო პროცესი **17**

III. RIA-SME ტესტი – საკონტროლო კითხვები **18**

IV. RIA-SME ტესტი – ეტაპები 21
IV.1. გადანაწილების ანალიზი 21
IV.2. მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე ზეგავლენის შეფასება 22
IV.2.1. ზეგავლენის ტიპი 22
IV.2.2. მცირე და საშუალო საწარმოებზე არსებული ზეგავლენის შეფასება 24
IV.2.3. არაპროპორციული ხარჯების განსაზღვრა 26
IV.3. ალტერნატიული მექანიზმებისა და შედეგების შემსუბუქების შეფასება 27
IV.3.1. შესაძლო გადაჭრის გზების გათვალისწინება 27
IV.3.2. ღონისძიებების მიზანშეწონილობის განსაზღვრა 28
IV.4. კონსულტაციები მცირე და საშუალო საწარმოს მქონე დაინტერესებულ მხარეებთან და მონაცემების შეგროვება 30

ბიბლიოგრაფია **33**

დანართები 34
A.1. მცირე და საშუალო ბიზნესის ტესტის შაბლონი 34
A.2. მცირე და საშუალო ბიზნესზე გავლენის დახასიათება 37
A.3. კონსულტაციები და მონაცემების შეგროვება RIA-SME ტესტისთვის 41
A.3.1. კონსულტაციის სტრატეგია 41
A.3.2. მონაცემთა შეგროვებისა და კონსულტაციის მეთოდები 43

RIA-SME ტესტის მეთოდოლოგიაში გამოყენებული ტერმინოლოგიის ლექსიკონი[2]

ადმინისტრაციული და აღსრულების ხარჯები – ან საჯარო სერვისების განხორციელების ხარჯები - ხარჯები, რომელიც მთავრობის მიერაა გაწეულია მარეგულირებელი მოთხოვნების ადმინისტრირების და აღსრულების პროცესში.

ადმინისტრაციული ტვირთი – წარმოადგენს კომპანიების, მომხმარებლებისა და სხვათა ხარჯებს, რომლებიც გაწეულია რეგულაციების მიღების, წაკითხვისა და ანალიზის, შესაბამისობის უზრუნველყოფის სტრატეგიების შემუშავებისა და ანგარიშგების მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით. ადმინისტრაციული ტვირთი არ მოიცავს შესაბამისობაში მოყვანის არსებით ხარჯებს.

შეფასება – არის პროცესი, რომლის დროსაც განისაზღვრება მიზნები, განიხილება ალტერნატივები, ხარჯები, სარგებელი, რისკები და გაურკვევლობები მანამ, სანამ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება.

საბაზისო სცენარი (BAU – Business as Usual) – გულისხმობს მიმდინარე ღონისძიებების არსებულ რეჟიმში იმგვარად გაგრძელებას, თითქოს კონკრეტული ინტერვენცია არ განხორციელებულა. ეს აუცილებელია იმის შესაფასებლად, თუ როგორ განვითარდებოდა პროცესი ინტერვენციის გარეშე (მაშინაც კი, როდესაც ნაკლებ მოსალოდნელია, რომ ეს ვერსია მისაღები იყოს) და გვაძლევს კონტრფაქტულ ალტერნატივას, რომელიც საბაზისო ალტერნატივად განიხილება. BAU ასევე წარმოადგენს ერთგვარ ნიშნულს, რომელთანაც ალტერნატიული ინტერვენციების შედარება ხდება.

ხარჯთეფექტიანობის ანალიზი (CEA) – ადარებს იმავე ან მსგავსი შედეგის მიღწევის ალტერნატიული გზების ხარჯებს.

ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი (CBA) – ღონისძიების/პროგრამის ზეგავლენის ფორმალური ანალიზი, რომელიც კეთილდღეობის ეკონომიკას ეფუძნება და ითვალისწინებს იმის შეფასებას, თუ რამდენად გადაწონის ღონისძიების/პროგრამის უპირატესობა (სარგებელი) მის უარყოფით მხარეებს. ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი მოიცავს როგორც ხარჯების, ასევე, ღონისძიების შედეგების/სარგებლის მონეტარულ შეფასებას.

2. ადაპტირებულია HM Treasury Green Book-იდან, Irish RIA Guidelines, OECD Regulatory Policy Outlook 2018, გაერთიანებული სამეფოს უკეთესი რეგულირების ჩარჩო სახელმძღვანელოდან 2015 წლის მარტი და NICE ლექსიკონიდან – სრული დეტალებისთვის იხილეთ ბიბლიოგრაფია.

კაპიტალური ხარჯი – გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გაწეული ხარჯებიროომელსაც რიგ შემთხვევაში სარგებლის წლიურ საპროცენტო განაკვეთადაც მოიხსენიებენ.

კონტრფაქტული – იხ. საბაზისო სცენარი – ალტერნატიული სცენარი, რომელიც ასახავს მოვლენების განვითარებას ერთი ან რამდენიმე ელემენტის/ქმედების/პოლიტიკის ცვლილების შემთხვევაში.

პირდაპირი ზეგავლენა – შედეგი, რომელიც გამოწვეულია უშუალოდ რეგულაციის შესრულებით ან მისი გაუქმებით/გამარტივებით.

დისკონტირება – მეთოდი რომელიც გამოიყენება დროის სხვადასხვა მონაკვეთში ხარჯისა და სარგებლის შესადარებლად.

დისკონტირების განაკვეთი – ყოველწლიური საპროცენტო განაკვეთი, რომლითაც დროში უნდა დაკორექტირდეს მომავალი ფულის მიმდინარე ღირებულება.

ეკონომიკური ეფექტიანობა – მიიღწევა მაშინ, როდესაც ვერცერთი მონაწილის ეკონომიკური მდგომარეობა ვერ გაუმჯობესდება სხვისი ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გარეშე. ასეთი ეფექტიანობა ზრდის სოციალურ კეთილდღეობას და გვაძლევს გარანტიას, რომ რესურსი ყველაზე პროდუქტიული გზით გადანაწილდება.

შეფასება – ინტერვენციისის დიზაინის, შედეგებისა და შესრულების სისტემური შეფასება.

არაპირდაპირი ზეგავლენა – რეგულაციის მთავარი მიზნის თანმდევი (და არა პირდაპირი) ეფექტია. მაგალითად, მესამე მხარეზე გავლენა, რომელიც ბაზრის ცვლილების შედეგად დროში იწვევს ქცევით ცვლილებებს და დინამიურ ეფექტებს. მას ასევე „მეორე რიგის" გავლენასაც უწოდებენ. იხ. მულტიპლიკატორის ეფექტი.

ასიმეტრიული ინფორმაცია – გარიგებაში მყოფ ორ მხარეს შორის ხელმისაწვდომ ინფორმაციაში განსხვავება, რომელიც ერთ-ერთ მხარეს უპირატესობას ანიჭებს. ეს მნიშვნელოვანია ეფექტიანი ხელშეკრულების, სამართლიანი ფასისა და შესრულების შეფასების დასადგენად.

ინტერვენცია – უკავშირდება პოლიტიკას, პროგრამას ან პროექტს, რომელიც ფასდება.

საბაზრო ღირებულება ან ფასი – სამოხმარებლო პროდუქტის გასაყიდი ან შესაძენი ღირებულება, რომელიც ბაზარზე მყიდველისა და გამყიდველის ურთიერთქმედების შედეგად დგინდება.

მრავალკრიტერიუმიანი ანალიზი (MCA) – ტექნიკა, რომელიც გამოიყენება ისეთი ალტერნატივის შესაფასებლად, რომლის მონეტიზაციაც შეუძლებელია. მრავალკრიტერიუმიანი ანალიზი აჯამებს ზეგავლენის რაოდენობრივ, თვისობრივ და მონეტარულ შეფასებებს და იძლევა ალტერნატივის სხვადასხვა კრიტერიუმით შეფასების შესაძლებლობას;

მულტიპლიკატორის ეფექტი – ზომავს ინტერვენციით გამოწვეული სახელმწიფო შემოსავლის ზრდას მოთხოვნის ან მიწოდების მხრივ საწყის ეტაპზე არსებულ მონაცემთან შედარებით. მულტიპლიკატორის ეფექტი არაპირდაპირი ზეგავლენის სპეციფიკური ფორმაა.

წმინდა მიმდინარე ღირებულება (NPV ან PV) – ზოგადი ტერმინია, რაც მომავალი ღირებულებების ნაკადის ჯამს აღნიშნავს (რომლებიც უკვე რეალურ ფასებშია გამოხატული) და მიმდინარე ღირებულების გამოსათვლელად არის დისკონტირებული.

წმინდა მიმდინარე სოციალური ღირებულება (NPSV) – არის სხვაობა, სოციალური სარგებლის წმინდა მიმდინარე ღირებულებასა და სოციალური ხარჯის წმინდა მიმდინარე ღირებულებას შორის ან ეკვივალენტურად, წმინდა სარგებლის ნაკადის მიმდინარე ღირებულება, დროში მათი წარმოქმნის შესაბამისად.

ნომინალური მონაცემები – გულისხმობს ხარჯების გაწევის პერიოდში მათ ღირებულებას მიმდინარე ფასებში.

ალტერნატიული დანახარჯი – არის აქტივის ან რესურსის გამოყენების მომდევნო საუკეთესო ალტერნატივის ხარჯი.

პროპორციულობა – არის პრინციპი, რომელიც გულისხმობს, რომ რაც უფრო დიდია შემოთავაზებული ინტერვენციის მნიშვნელობა, მით მეტი ანალიზი სჭირდება მას. შეთავაზების მნიშვნელობა მისი საერთო ეკონომიკური, სოციალური, გარემოსთან დაკავშირებული კრიტერიუმებიდან ან კონკრეტულ სექტორზე გავლენის მასშტაბიდან გამომდინარეობს.

რეალური ფასი – არის ნომინალური ფასი (მიმდინარე ფასი) რომლის დეფლირება ინფლაციის შესაბამისად ხდება.

დისკონტირების რეალური განაკვეთი – არის დისკონტირების ნომინალური განაკვეთი (იგივე საპროცენტო განაკვეთი, რომელსაც ხარჯებისა და სარგებლის დისკონტირებისთვის იყენებენ), რომლის დეფლირებაც ინფლაციის მიხედვით ხდება.

რეალური მონაცემები – გულისხმობს ხარჯების გაწევის პერიოდში მათ ღირებულებას ზოგადი ფასების დონის გათვალისწინებით (გამოითვლება ნომინალური ღირებულების საერთო საფასო ინდექსთან შეფარდებით. საერთო საფასო ინდექსის მაგალითია მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორი).

რეგულირების ზეგავლენის შეფასება (RIA ან IA) – აღნიშნული ინსტრუმენტი უზრუნველყოფს პოლიტიკის გადაწყვეტილების მიმღებთა მიერ კონკრეტული ინტერვენციის შედეგების ანალიზს. ინსტრუმენტი საშუალებას აძლევს მთავრობას, შეაფასოს და წარადგინოს ინტერვენციის როგორც დადებითი, ასევე, უარყოფითი მხარეები.

რისკები – ინტერვენციის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში წარმოქმნილი გაურკვევლობები.

სპეციფიკური ზეგავლენის ტესტი – არის დამატებითი ანალიზი, რომლის საჭიროებაც დგება ისეთ კრიტერიუმებზე მნიშვნელოვანი გავლენების არსებობის შემთხვევაში, როგორებიცაა გარემო, კონკურენცია, სიღარიბე, თანასწორობა ან სოციალური ასპექტები.

სტანდარტული ხარჯის მოდელი (SCM) – უზრუნველყოფს რეგულაციის ადმინისტრაციული ტვირთის გაზომვისათვის საჭირო სქემას.

შესაბამისობაში მოყვანის არსებითი ხარჯები – არის დამატებითი ხარჯები, რომლის გაწევაც აუცილებელია რეგულაციასთან შესაბამისობის მისაღწევად და არ ითვალისწინებს ადმინისტრაციულ ტვირთს. აღნიშნული ხარჯები მხოლოდ პირდაპირ ხარჯებს მოიცავს მათთვის, ვისაც რეგულაციის დაცვის ვალდებულება აკისრია. მაგალითად, ეს არის განხორციელების, შრომის, საოპერაციო, მატერიალური და გარე მომსახურების ხარჯები.

ჩანაცვლება – როდესაც კომპანია ან მომხმარებელი ინტერვენციის შედეგად ერთ აქტივობას მეორეთი ანაცვლებს. ეკონომიკური აქტივობის ცვლილებამ შესაძლოა, პროდუქტიულობის ცვლილება და შესაბამისად, დამატებითი ხარჯი ან სარგებელი გამოიწვიოს.

საოპერაციო ხარჯი და სარგებელი – გარდამავალი ან ერთჯერადი ხარჯი ან სარგებელი, რომელიც ძირითადად რაიმე ღონისძიების განხორციელების შედეგად წარმოიშობა.

I. შესავალი

I.1. მეთოდოლოგიის მიზანი და სტრუქტურა

წინამდებარე მეთოდოლოგიის მიზანია, დაეხმაროს მთავრობას იმის შეფასებაში, ახდენს, თუ არა და რა ტიპის გავლენას ახდენს კონკრეტული სამთავრობო ინიციატივა ქვეყანაში მოქმედ მცირე და საშუალო საწარმოებზე (RIA-SME ტესტი). ამ გზით, მეთოდოლოგია ხელს უწყობს ფაქტებზე დაფუძნებულ და მაღალი ჩართულობით წარმართულ გადაწყვეტილების მიღების პროცესს საქართველოში.

RIA-SME ტესტი შედგება სამი ძირითადი ეტაპისგან (გადანაწილების ანალიზი, ზეგავლენის შეფასება და ზეგავლენის შედეგების შემცირების შეფასება), რომლებიც უნდა მიმდინარეობდეს მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების ან ინფორმაციის შეგროვების პარალელურად.

წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს სხვადასხვა ტიპის სახელმძღვანელო მითითებას:

- ✔ ნაწილი II. ასახულია RIA-SME ტესტის მეთოდოლოგიის სტრუქტურა;
- ✔ ნაწილი III. გაერთიანებულია ძირითადი კითხვები, რომლებსაც ემყარება ანალიზი RIA-SME ტესტის თითოეულ ეტაპზე;
- ✔ ნაწილი IV. დეტალურად არის განხილული ანალიზის განსახორციელებლად საჭირო ცნებები და ინსტრუმენტები;
- ✔ დანართებში მოცემულია დამატებითი ინფორმაცია.

I.2. რატომ საჭიროებს მცირე და საშუალო საწარმოები განსაკუთრებულ აქცენტირებას

მცირე და საშუალო საწარმოები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროპის ეკონომიკაში დასაქმების, ბრუნვისა და დინამიკურობის თვალსაზრისით. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყნებში კომპანიების 99%-ზე მეტი მცირე და საშუალო საწარმოა და მშპ-ს დაახლოებით ორ მესამედს აწარმოებს. განვითარებად ქვეყნებში, ასევე გარდამავალ ეკონომიკაში, მცირე და საშუალო საწარმოები კომპანიების 90%-ზე მეტს წარმოადგენს, მაგრამ მათი წვლილი მშპ-ს წარმოქმნაში გაცილებით პატარაა, ზოგჯერ 20%-ზე ნაკლებიც კი (MOESD, 2021). ორივე შემთხვევაში, მცირე და საშუალო საწარმოების გამართული მუშაობა არის ეკონომიკის გრძელვადიანი მდგრადობისა და სიცოცხლისუნარიანობის აუცილებელი პირობა, რის გამოც მცირე და საშუალო საწარმოები განიხილება მთავარ აქტორებად გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის პროცესში[3].

ამ ურთიერთდამოკიდებულებაზე ყურადღება გამახვილებულია, ასევე, გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საქმეთა დეპარტამენტის (DESA) ბოლო პუბლიკაციაში (UNDESA, 2020). ნიშანდობლივია ისიც, რომ, როგორც ჩანს, ძლიერი SME სექტორი სარგებლის

3. იხილეთ: https://sdgs.un.org/goals

მომტანია დიდი კომპანიებისთვისაც. მნიშვნელოვანია, რომ მცირე და საშუალო საწარმოები უზრუნველყოფენ გადამწყვეტ ინდუსტრიულ კავშირებს და ახდენენ ფართო ინდუსტრიული განვითარების ჯაჭვური რეაქციის სტიმულირებას. მცირე და საშუალო საწარმოების, როგორც ქვეკონტრაქტორების, ასევე, როგორც მსხვილი საერთაშორისო საწარმოებისთვის შუალედური რესურსების მიმწოდებლების გარეშე, განვითარებად ქვეყნებში ინდუსტრიული განვითარება ვერ განაპირობებს გაზრდილი ადგილობრივი ღირებულების, სამუშაო ადგილების, პროდუქტიულობისა და ინდუსტრიული კავშირების შენარჩუნებას და გაძლიერებას. მცირე და საშუალო საწარმოები, ასევე, განიხილება ძირითად ადგილობრივ დამსაქმებლებად და ეკონომიკური რყევების კონტროლის მექანიზმად. ამგვარად, მცირე და საშუალო საწარმოები გადამწყვეტ როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში (Foghani et al., 2017).

როგორც ცხრილი 1-ზეა ნაჩვენები, საქართველოშიც არსებული კომპანიების უმეტესობა მცირე საწარმოა.

ცხრილი 1. საქართველოში მოქმედი საწარმოების ჩამონათვალი სიდიდის მიხედვით 2023 წლის 1-ლი ოქტომბრის მდგომარეობით

	სულ	**დიდი**	**საშუალო**	**მცირე**	**უცნობი სიდიდის**
საწარმოები	248,170	720	3,162	205,256	39,032
წილი		0.3%	1.3%	82.7%	15.7%

წყარო: საქსტატი

მცირე და საშუალო საწარმოები საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. 2022 წელს, ასეთი ტიპის საწარმოებზე დასაქმების მაჩვენებლის 59% და ბიზნეს სექტორში წარმოებული პროდუქციის 54% მოდიოდა[4]. საქართველოს მთავრობა აცნობიერებს მცირე და საშუალო საწარმოების მნიშვნელობას ქვეყნის ეკონომიკისთვის. ეს იმ გარემოებითაც არის განპირობებული, რომ საქართველოს ბაზარს აკლია მსხვილი მასშტაბის დიდი და მძლავრი კომპანიები, რომლებიც წარმოადგენს, მაგალითად, აშშ-ს ეკონომიკის მამოძრავებელ ძალას (მაგ. General Motors, Walmart, Apple და ა.შ.). საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ სტრატეგიაში *"საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია – 2021-2025 წლებისთვის"* (MOESD, 2021) საუბარია საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოების მიერ შეტანილ წვლილსა და მათ საქმიანობაში არსებულ პრობლემებზე.

4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ბიზნეს-სტატისტიკა.

ჩანართი 1-ში მოცემულია საქართველოში არსებული მცირე და საშუალო საწარმოების მოქმედი განმარტება.

ჩანართი 1. მცირე და საშუალო ზომის საწარმო

2017 წლიდან, საწარმოს ტიპის განსაზღვრა ხდება შემდეგ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით:

მსხვილი ზომის საწარმოებს განეკუთვნება საწარმო, სადაც დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობა აღემატება 249 კაცს ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა აღემატება 60 მლნ ლარს.

საშუალო ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 50-დან 250 კაცამდე, ხოლო საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა – 12 მლნ ლარიდან 60 მლნ ლარამდე.

მცირე ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 50 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 12 მლნ ლარს.

წყარო: საქსტატი (https://www.geostat.ge/media/32250/BS_Methodology_ENG.pdf

მცირე და საშუალო საწარმოები ეკონომიკის არა მხოლოდ ყველაზე დიდ სეგმენტს წარმოადგენს, არამედ მათი არსებობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია ეკონომიკის სიჯანსაღისა და დივერსიფიკაციისთვის. შესაბამისად, RIA-SME ტესტმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ორ მნიშვნელოვან განზომილებაზე. ერთი მხრივ, ახალი სუბიექტების არსებობა ბაზარზე ხელს უწყობს და ზრდის ჯანსაღ კონკურენციას უკვე არსებულ მოქმედ საწარმოებთან მიმართებით, ასევე, ახალი საწარმოები გამოირჩევიან ინოვაციურობითა და ბიზნესის წარმოების ახალი მეთოდების დანერგვით. სწორედ ამიტომ, როგორც *საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიაშია* (MOESD, 2021) აღნიშნული, მცირე ბიზნესის სექტორის სიჯანსაღე გადამწყვეტი ფაქტორია საქართველოში პროდუქტიულობის ზრდის პროცესის უზრუნველსაყოფად.

ამრიგად, ეკონომიკური ეფექტიანობისა და მეწარმეობის პერსპექტივის გათვალისწინებით, RIA-SME ტესტი განსაკუთრებით უნდა ფოკუსირდეს იმაზე, თუ რა გავლენას იქონიებს მარეგულირებელი წინადადება მცირე და საშუალო საწარმოებზე, რომლებმაც შესაძლოა, ცვლილება მოახდინოს ქვეყანაში კონკურენტუნარიანობის ან მწვანე ტრანსფორმაციის (ან მთავრობის სხვა ძირითადი პოლიტიკის მიზნების) მიმართულებით.

მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მათ დასაქმებულთა რაოდენობის გათვალისწინებით, მცირე და საშუალო საწარმოები მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალური სტაბილურობის თვალსაზრისით და ცვლილებებმა, რომლებიც გავლენას ახდენს სამუშაო ძალის ფართო სეგმენტებზე (შესაბამისად, ქართულ შინამეურნეობებზე) შეიძლება, გავლენა იქონიოს თანასწორობასა და კეთილდღეობაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, ეს განზომილება, ასევე, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული RIA-SME ტესტის პროცესში.

გარდა სტრატეგიული მნიშვნელობისა, ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი, თუ რატომ უნდა განხორციელდეს RIA-SME ტესტი, არის მოსაზრება, რომ როგორც წესი, რეგულირება *არაპროპორციულ გავლენას* ახდენს მცირე და საშუალო საწარმოებზე. რეგულაციების დაცვასთან დაკავშირებული გარკვეული ხარჯები ფიქსირებულია და არ არის დამოკიდებული საწარმოს ზომასა და ბრუნვაზე. ვინაიდან მსხვილი ზომის საწარმოების ოპერირების მასშტაბი გაცილებით ფართოა, ასეთი ტიპის ფიქსირებული ხარჯები, სავარაუდოდ, მათი საერთო ხარჯებისმცირე ნაწილს წარმოადგენს. შესაბამისად, ფიქსირებული ხარჯების ერთნაირად ზრდა, უფრო მტკივნეული იქნება მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის, ვიდრე მსხვილი ბიზნესისთვის. გარდა ამისა, მცირე და საშუალო საწარმოები, როგორც წესი, ბაზარზე „ფასის მიმღებნი"[5] არიან, ამიტომ მცირე და საშუალო საწარმოებისთვის რთული ხდება აღნიშნული ხარჯების დაკისრება მათზე დამოკიდებულ და დაქვემდებარებულ მიმწოდებლებზე ან მომხმარებლებზე. შესაბამისად, ასეთ შემთხვევებში, მოსალოდნელია მცირე და საშუალო საწარმოების მოგების მარჟის შემცირება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია პოლიტიკის შემუშავების ადრეულ ეტაპზე მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ინტერესებისა და მათი საოპერაციო გარემოს გათვალისწინება.

შესაბამისად, RIA-SME ტესტის მიზანია, ხელი შეუწყოს მარეგულირებელი წინადადების იმგვარად განვითარებას, რომელიც მიზანს მიაღწევს მცირე ბიზნესის შესაძლებლობების შეზღუდვის ან მათთვის ზიანის მიყენების გარეშე.

2008 წელს, ევროკავშირის დონეზე, ევროკომისიამ შემოიღო პრინციპი — „უპირველესად იფიქრე მცირეზე", რომელიც ევროკავშირის მცირე ბიზნესების შესახებ კანონის ფარგლებში განხორციელებულ ზომებს დაედო საფუძვლად. კანონი მცირე ბიზნესის შესახებ იყო მთავარი ინსტრუმენტი „ლისაბონის ზრდისა და დასაქმების სტრატეგიის" განხორციელების პროცესში[6]. ამ პრინციპის მიხედვით, პოლიტიკის შემქმნელები, პოლიტიკის შემუშავების ადრეულ ეტაპზევე განსაკუთრებულ ფოკუსში აქცევენ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს. იდეალურ შემთხვევაში, ბიზნეს რეგულაციები უნდა შეიქმნას მცირე და საშუალო საწარმოების მდგომარეობის და მათი პერსპექტივის გათვალისწინებით, სხვაგვარად რომ ვთქვათ, როდესაც საქმე ბიზნესის რეგულირებას ეხება, მცირე და საშუალო საწარმოები საჯარო ხელისუფლების მიერ უნდა განიხილებოდეს მათ „მთავარ დამკვეთებად". აღნიშნული პრინციპი ეყრდნობა მიდგომას, რომ „ერთი ზომა ყველას არ ერგება", მსხვილი ბიზნესისთვის შემუშავებული წესები და პროცედურები ქმნის არაპროპორციულ და მეტიც, დაუძლეველ დაბრკოლებას მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის, რადგან მათი მასშტაბის ეფექტი გაცილებით მცირეა.

5. ფასის მიმღები კომპანია იძულებულია, დაეთანხმოს მისი პროდუქციის არსებულ ფასს ბაზარზე, არ გააჩნია საბაზრო ძალა, რომ თავად იქონიოს გავლენა საბაზრო ფასზე. კომპანიის შიდა ტრანზაქციები კი ვერ ახდენს გავლენას საბაზრო ფასზე.

6. „უპირველესად იფიქრე მცირეზე", შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ბმულს: https://ec.europa.eu/docsroom/documents/10038/attachments/1/translations/en/renditions/native

I.3. მცირე და საშუალო ზომის საწარმოების არსებული კონტექსტი საქართველოში

I.3.1. მოკლე ეკონომიკური მიმოხილვა

მცირე და საშუალო საწარმოები საქართველოში ბიზნეს სექტორის დიდ ნაწილს მოიცავს. 2023 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, რეგისტრირებული აქტიური მცირე და საშუალო ზომის საწარმოების რაოდენობა შეადგენს 248,170-ს, რაც წარმოადგენს მთლიანი ბიზნეს სექტორის 99.7%-ს. მცირე და საშუალო ბიზნესის ყველაზე დიდი წილი კონცენტრირებულია საბითუმო და საცალო ვაჭრობის სექტორში (42.7%), რასაც მოსდევს ტრანსპორტირება და დასაწყობება (9.0%), დამამუშავებელი მრეწველობა (8.8%), მშენებლობა (7.8%), ასევე, საცხოვრებელი და საკვები პროდუქტით მომსახურება (4.7%)[7].

2015 წლიდან 2021 წლამდე მცირე და საშუალო ზომის საწარმოების გამოშვებისა და დამატებული ღირებულების მაჩვენებლები უწყვეტი მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა, 2020 წლის გამონაკლისით, როდესაც COVID-19 პანდემიამ გამოშვების 0.5%-ით და დამატებული ღირებულების 2.0%-ით შემცირება გამოიწვია. ამ პერიოდში გამოშვების საშუალო წლიური ზრდის ტემპმა 9.8%-ს მიაღწია, ხოლო დამატებული ღირებულების საშუალო წლიური ზრდის ტემპმა 9.4% შეადგინა, მაშინ როდესაც2015-2021 წლებში მთლიანი ბიზნეს-სექტორისთვის იგივე მაჩვენებელი გამოშვებისთვის 11.5%-ს და დამატებითი ღირებულებისთვის 11.2%-ს შეადგენდა. 2021 წელს, მცირე და საშუალო ბიზნესის გამოშვება და დამატებითი ღირებულება, შესაბამისად, 30,625 და 14,691 ლარს წარმოადგენდა. 2022 წლისთვის, გამოშვების ზრდა კვლავ დაფიქსირდა და 37,116 მილიონ ლარს მიაღწია (ოთხი კვარტლის ჯამი)[8].

მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა 2015 წლიდან 2021 წლამდე უწყვეტად იზრდებოდა, გარდა 2020 წლისა, როდესაც პანდემიის გამო დასაქმების მაჩვენებელმა 9.7%-ით იკლო. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს კლება უფრო მაღალი იყო კაცებში (-10.0%), ვიდრე ქალებში (-9.2%). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ, მიუხედავად პოსტ-პანდემიური აღდგენისა, 2021 წელს მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორში დასაქმებულთა რიცხვი პრე-პანდემიურ დონეზე დაბალი მაჩვენებლით აღინიშნა. დასაქმების საშუალო წლიური ზრდის ტემპი 2015 წლიდან 2021 წლამდე შეადგენდა 0.8%-ს (იგივე მაჩვენებელი ქალებისთვის იყო 1.0%, ხოლო კაცებისთვის 0.6%). 2021 წლისთვის მცირე და საშუალო ბიზნესის დასაქმებამ მიაღწია 403,909 ადამიანს, საიდანაც მცირე საწარმოები მოიცავდა 63.6%-ს (257,068 ადამიანი). 2021 წელს მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა 58% კაცი იყო, ხოლო ქალი – 42%. ამასთან, გენდერული განაწილება მსგავსია საშუალო და მცირე ზომის საწარმოებში. 2022 წელს, დასაქმების დონე შემცირდა 370,820-მდე (საშუალოდ ოთხ კვარტალში). მცირე ბიზნესი, მთლიანი დასაქმების 59.5%-ით, კვლავ დასაქმების ძირითად წყაროს წარმოადგენს[9].

7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ბიზნეს-რეგისტრი.
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ბიზნეს-სტატისტიკა.
9. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ბიზნეს-სტატისტიკა.

იმის გათვალისწინებით, რომ მცირე და საშუალო საწარმოები მთლიანი ბიზნეს სექტორის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს, მათი გავლენა მთლიანი ბიზნეს სექტორის გამოშვებაზე, დამატებულ ღირებულებასა და დასაქმებაზე მნიშვნელოვანია. როგორც 2021, ასევე 2022 წლებში,[10] მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში დასაქმებული იყო ბიზნეს სექტორის მთლიანი სამუშაო ძალის 59%, თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს პროპორცია 2015 წლიდან თანდათან მცირდება. მცირე და საშუალო საწარმოების წილი გამოშვებაში შედარებით სტაბილურ ტენდენციას ინარჩუნებდა, რომელიც 2015-დან 2020 წლამდე 58%-დან 60%-მდე ფარგლებში მერყეობდა. თუმცა, 2021 წელს ეს წილი 53%-მდე შემცირდა და 2022 წელს აჩვენა ზომიერი გაუმჯობესება 54%-მდე[11]. დამატებული ღირებულების თვალსაზრისით, მცირე და საშუალო ზომის ბიზნესის წილი 2015-2021 წლებში მთელი ბიზნეს სექტორის დამატებული ღირებულების 53%-დან 61%-მდე მერყეობდა, სადაც ყველაზე დაბალი წილი, 53% 2021 წელს დაფიქსირდა[12].

შეჯამებისთვის, ამჟამად საქართველოს ბიზნეს სექტორს ძირითადად მცირე და საშუალო ზომის საწარმოები წარმოადგენს, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის პროდუქციის გამოშვების, დამატებული ღირებულებისა და დასაქმების მაჩვენებლებში. საქართველოს ეკონომიკაში მათი როლის გათვალისწინებით, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების კონკურენტუნარიანობა და სიცოცხლისუნარიანობა მთლიანად საქართველოს ეკონომიკის ზრდაში გადამწყვეტ როლს თამაშობს.

საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება მხარდაჭერილია რამდენიმე მცირე და საშუალო ბიზნეს ასოციაციის მიერ. მათ შორის არის ორი უმსხვილესი ასოციაცია - მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ასოციაცია (SMEDA) და საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია (GSMEA). SMEDA არის საქართველოში დაფუძნებული არაკომერციული ორგანიზაცია. ის მცირე და საშუალო ბიზნესს მხარს უჭერს ადვოკატირების, ინოვაციური გადაწყვეტილებების, კონსულტირებისა და ტრენინგის გზით, როგორც ქვეყნის პირველი ციფრული ასოციაცია; GSMEA წარმოადგენს არაკომერციულ არასამთავრობო ორგანიზაციას საქართველოში ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების, კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და კერძო სექტორში პროდუქტიულობის ხელშეწყობის მისიით. ასოციაციები ემსახურებიან მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერესების დაცვას, ჯანსაღი კონკურენციის ხელშეწყობასა და საჯარო უწყებებთან, ფინანსურ ინსტიტუციებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან კომუნიკაციის ხელშეწყობას. გარდა ამისა, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში ჩართულია შემდეგი ბიზნეს ასოციაციები: ევროკავშირი – საქართველოს ბიზნეს-საბჭო (EUGBC), საქართველოს ბიზნეს ასოციაცია (BAG), საქართველოს ტურიზმის ასოციაცია (GTA), ევროპის ბიზნეს ასოციაცია (EBA) და ა.შ. მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების მხრივ, ასევე, უნდა აღინიშნოს ორი ძირითადი საჯარო უწყება: სსიპ „აწარმოე საქართველოში“ (EG) და სსიპ „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო“ (GITA). EG გადამწყვეტ როლს თამაშობს მცირე და საშუალო ბიზნესის

10. ბიზნეს-სექტორის დასაქმებაში მცირე და საშუალო საწარმოების დასაქმების წილი გამოითვლება დასაქმების მნიშვნელობების ოთხი კვარტლის საშუალო მაჩვენებლის გამოყენებით.

11. მცირე და საშუალო ბიზნესის პროდუქციის წილი ბიზნეს-სექტორის წარმოებაში გამოითვლება ოთხი კვარტლის გამოშვების მნიშვნელობების ჯამის გამოყენებით.

12. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ბიზნეს-სტატისტიკა.

მხარდაჭერაში მრავალი პროგრამის საშუალებით, ხოლო GITA ფოკუსირებულია ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარებაზე სტარტაპების მხარდაჭერით.

I.3.2. ზოგადი მოთხოვნები და სტრუქტურა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებისათვის შემუშავებული სტრატეგია (MoESD), რომელიც 2021-2025 წლებს მოიცავს, ადასტურებს ქვეყნის განაცხადს მცირე და საშუალო საწარმოების ზრდის ხელშეწყობის სტრატეგიულ მიზანთან დაკავშირებით (MoESD, 2021). სტრატეგია აერთიანებს შვიდ სტრატეგიულ მიმართულებას, რომელთაგან თითოეული ეხება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მნიშვნელოვან ასპექტს. ეს მიმართულებები მოიცავს კანონმდებლობის დახვეწას, ინსტიტუციურ გაძლიერებას, მცირე და საშუალო საწარმოების ფუნქციონირებისთვის საოპერაციო გარემოს გაუმჯობესებას, სამეწარმეო უნარების ხელშეწყობას, ფინანსებზე წვდომის გაზრდას, ექსპორტის ზრდისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობას, ინოვაციებისა და კვლევების წახალისებას, ქალთა მეწარმეობის ხელშეწყობას და მწვანე ეკონომიკის განვითარებას. სტრატეგიის დოკუმენტი ითვალისწინებს რეგულირების ზეგავლენის შეფასებაში მცირე და საშუალო ბიზნესის ტესტის ცალსახად დანერგვას და RIA-ს გამოყენების სფეროს გაფართოებას (პრიორიტეტი 1 – მიზანი 1.1). საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტი რეგულარულად ახორციელებს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს, რაც უზრუნველყოფს ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას.

საქართველოს მთავრობა აცნობიერებს მისი სამართლებრივი ჩარჩოს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მნიშვნელობას მცირე და საშუალო საწარმოების ზრდის ხელშეწყობის მიზნით. ამ პროცესში, მნიშვნელოვანი ეტაპი იყო 2021 წელს მეწარმეთა შესახებ ახალი კანონის[13] მიღება, რომელიც ძალაში 2022 წელს შევიდა. კანონი მიზნად ისახავს კორპორაციული რეგულაციების ჰარმონიზაციას ევროკავშირის კანონმდებლობასთან, რაც გააძლიერებს ქვეყნის მიმზიდველობას უცხოელი ინვესტორებისთვის. გარდა ამისა, კანონები მედიაციისა[14] და რეაბილიტაციის თაობაზე, ასევე კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ[15] ასახავს საქართველოს ვალდებულებას გადახდისუუნარობის პერიოდში დავის ალტერნატიული გადაწყვეტისა და საწარმოების რეაბილიტაციაზე.

გარდა ამისა, 2020 წლის იანვარში N35 დადგენილების დამტკიცებით შემოღებულია რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) სისტემური გამოყენების მოთხოვნა. RIA სავალდებულოა მთავრობის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებებისთვის 20 ძირითად კანონთან დაკავშირებით, ამასთან, მეთოდოლოგია ითვალისწინებს ზეგავლენის შეფასებას მცირე და საშუალო საწამოებზე.

13. საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5230186?publication=3

14. საქართველოს კანონი მედიაციის შესახებ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=2

15. საქართველოს კანონი რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4993950?publication=1

დადგენილებისთანახმად, ამ შემთხვევებში RIA-ს ანგარიში უნდა მომზადდეს სტანდარტული ფორმით, რომელიც შედგება ხუთი ნაწილისაგან (მუხლი 9):

- ✔ RIA-ს ანგარიშის 1-ლი ნაწილი უნდა მოიცავდეს ზოგად ინფორმაციას ინიციატივისა და პასუხისმგებელი სამინისტროების ან სხვა პასუხისმგებელი უწყებების შესახებ.
- ✔ ანგარიშის მე-2 ნაწილი ასახავს RIA-ს ანალიტიკურ ეტაპებს, რომლის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილიადადგენილების მე-13 მუხლში:

    - პრობლემების/საკითხების იდენტიფიცირება;
    - საბაზისო სცენარის განსაზღვრა;
    - ინტერვენციის მიზნების დასახვა;
    - ალტერნატივების შემუშავება (მათ შორის, ჩაურევლობის ალტერნატივა);
    - ზეგავლენის ანალიზი (გარემოებების შესაძლო განვითარების პროგნოზირება);
    - ალტერნატივების შედარება და შეფასება;
    - მონიტორინგისა და განხორციელების გეგმების მომზადება.

- ✔ RIA-ს ანგარიშის მე-3 ნაწილი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დასრულებული პროცედურული ეტაპებისა და საჯარო კონსულტაციების შედეგების შესახებ (განხილულია დადგენილების 25-ე მუხლში).
- ✔ ანგარიშის მე-4 ნაწილშიაისახება კანონპროექტის ინიციატორი სააგენტოს კომპეტენტური პირის ხელმოწერას.
- ✔ RIA-ს ანგარიშის მე-5 ნაწილი მოიცავს დანართებს.

გარდა ამისა, რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშში ნათლად უნდა მიეთითოს ინფორმაცია მისი მომზადების პროცესში შეკრებილი მტკიცებულებებისა და წყაროების შესახებ.

II. RIA-SME ტესტი – სამუშაო პროცესი

RIA-SME ტესტის „ლოგიკური სტრუქტურა” შესაძლოა ასე გამოიყურებოდეს:



III. RIA-SME ტესტი – საკონტროლო კითხვები

RIA-SME ტესტის ჩასატარებლად საჭირო ძირითადი შეკითხვებია:

ნაბიჯი 1. გადანაწილების ანალიზი

- ✔ *წარმოადგენს თუ არა ინიცირებული საკანონმდებლო ინიციატივის მიზნობრივ სეგმენტს მცირე და საშუალო ზომის საწარმოები?*
- ✔ *იქონიებს თუ არა ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილება გავლენას ეკონომიკის ერთ ან მეტ სექტორზე, მათ შორის ს მცირე საწარმოების მინიმუმ 2%- ზე ან საშუალო ზომის საწარმოების 5%-ზე?*
- ✔ *მოსალოდნელია თუ არა რაიმე სახის უარყოფითი გავლენა მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე?*
- ✔ *რომელი ეკონომიკური სექტორები ან/და ქვესექტორები ექცევიან საკანონმდებლო ინიციატივის ფარგლებში?*
- ✔ *არსებობს თუ არა ზეგავლენა მიწოდების ჯაჭვის მონაწილე მცირე და საშუალო საწარმოებზე?*
- ✔ *რამდენი ასეთი საწარმოა? როგორია შესაბამისად საშუალო, მცირე და მიკრო საწარმოების განაწილება?*
- ✔ *რა არის ყოველი SME ქვეკატეგორიის წილი დასაქმების, წლიური ბრუნვის, საბაზრო წილის, დამატებული ღირებულების თუ სხვა შესაბამისი ინდიკატორების ჭრილში?*
- ✔ *არის თუ არა მოსალოდნელი ქალ მეწარმეებზე მეტად ან ნაკლებად უარყოფითი ზეგავლენაი?*

ნაბიჯი 2. მცირე და საშუალო საწარმოებზე ზეგავლენის შეფასება

- ✔ *რა ტიპის ზეგავლენაა მოსალოდნელი ადმინისტრაციულ/პირდაპირი შესაბამისობის ხარჯებზე? (არა მხოლოდ აბსოლუტურ ჭრილში, არამედ ბიზნესის სიდიდისა და სხვა შესაბამისი ფაქტორების გათვალის წინებით, მაგ., ისტორიული საოპერაციო შემოსავალი, ისტორიული ადმინისტრაციული ხარჯები და ა.შ)?*
- ✔ *რა ტიპის არაპირდაპირი ზეგავლენაა მოსალოდნელი დასაქმებაზე /პროდუქციის გამოშვებაზე / პროდუქტიულობაზე / კვლევისა და განვითარების (R&D) მიმართულებაზე, ინვესტიციებზე?*
- ✔ *რა ტიპის არაპირდაპირი ზეგავლენაა მოსალოდნელი ექსპორტსა და იმპორტზე/ უცხოური ინვესტიციების შემოდინებაზე / ბაზრის წილსა და ბაზარზე შესვლის შემაფერხებელ ფაქტორებზე?*
- ✔ *მოსალოდნელია, თუ არა, რომ შედეგები მეწარმის სქესის მიხედვით განსხვავდებოდეს?*

ნაბიჯი 3. ზეგავლენის შემამსუბუქებელი ზომების შეფასება (თუ ეს შესაძ-ლებელია ნაბიჯი 1 და ნაბიჯი 2-ის დროს მიღებული დასკვნების საფუძველზე; სქესის ნიშნით ჩაშლილი ინფორმაცია)

✔ *შესაძლებელია თუ არა ალტერნატიული/შემამსუბუქებელი ზომების შემოღება SME-სთვის? შესაძლებელია შემდეგი ვარიანტების განხილვა:*

- მარეგულირებელი მოთხოვნებისგან ნაწილობრივი ან სრული გათავისუფლება;
- ამოქმედების საერთო თარიღები;
- გარდამავალი პერიოდის გახანგრძლივება;
- წვდომა მიზნობრივი მხარდაჭერის მექანიზმებზე;
- ინდივიდუალურად მორგებული მოთხოვნები;
- რისკზე დაფუძნებული აღსრულება;
- შეუსაბამობისთვის დაწესებული ჯარიმების საფეხურებრივი სისტემა;
- თვითრეგულირება;
- ფინანსური დახმარება.

✔ *სასურველი და პროპორციულია თუ არა ამ ტიპის ზომების მიღება? განხილული უნდა იყოს:*

- შემსუბუქების/გათავისუფლების „პოლიტიკური ხარჯი";
- შემსუბუქებით/გათავისუფლებით მიღებული სარგებელი.

კონსულტაციებიSMEდაინტერესებულმხარეებთანდასაჯაროკონსულტაციები

✔ *რა არის კონსულტაციის ჩატარების მიზანი? განხილული უნდა იყოს:*

- კონსულტაციების შედეგად მისაღწევი მიზნები: (მაგ. მონაცემების გამოთხოვა, ჰიპოთეზის ნამდვილობის დადასტურება)

✔ *რომელ ჯგუფებზე ახდენს გავლენას ინიციატივა? განხილული უნდა იყოს:*

- პირდაპირი / არაპირდაპირი დაინტერესებული მხარეები;
- ჯგუფები, რომლებიც კონსულტაციებიდან გამორიცხვის რისკის წინაშე დგანან („არავინ პროცესის მიღმა").

✔ *რა არის შეთავაზებული ინიციატივის ფარგლებში კონსულტაციების მისაღები ფორმატი? ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგზე:*

- ინიციატივის კომპლექსურობა და ზეგავლენა;
- კონსულტაციებში მონაწილე იდენტიფიცირებული დაინტერესებული მხარე-ები;
- კონსულტაციების ჩასატარებლად საჭირო დრო და რესურსები.

✔ *როგორ წარვმართოთ კონსულტაცია ეფექტიანად არჩეული ფორმატით? განხილული უნდა იყოს:*

- სამიზნე აუდიტორია;
- საუკეთესო მეთოდები სამიზნე აუდიტორიამდე მისაღწევად;
- ყველაზე შესაფერისი/ეფექტიანი საკომუნიკაციო ინსტრუმენტები.

✔ *რა არის კონსულტაციის შედეგების დამუშავების და წარმოდგენის საუკეთესო მეთოდი? განხილული უნდა იყოს:*

- კონსულტაციის პერიოდი;
- ჩართული დაინტერესებული მხარეების/არამონაწილე დაინტერესებული მხარეების სია;
- დაინტერესებული მხარეების რეპრეზენტატულობა/მათზე ზეგავლენა;
- მიღებული კომენტარები და წინადადებები;
- დაინტერესებული მხარეების კომენტარებსა და წინადადებებზე უკუკავშირი.

IV. RIA-SME ტესტი – ეტაპები

ტიპური RIA-SME ტესტი შედგება სამი ეტაპისგან:

- ✔ გადანაწილების ანალიზი;
- ✔ მცირე და საშუალო საწარმოებზე ზეგავლენის შეფასება;
- ✔ ალტერნატიული მექანიზმებისა და შემამსუბუქებელი ზომების შეფასება (შემამსუ-ბუქებელი ზომების შეფასება).

RIA-SME ტესტის თითოეული ეტაპი უნდა ეფუძნებოდეს SME დაინტერესებულ მხარეებ-თან კონსულტაციებს და მოპოვებულ მონაცემებს.

IV.1. გადანაწილების ანალიზი

აღნიშნულ ეტაპზე ტარდება გადანაწილების ანალიზი, რომელიც ითვალისწინებს იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია, ინიცირებული საკანონმდებლო ინიციატივის ზეგავლენა სხვადასხვა ზომის (მსხვილი, საშუალო, მცირე და მიკრო ბიზნესი) საწარმო-ებზე. იმის განსახილველად, აქვს თუ არა გავლენა და თუ აქვს, *რომელ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე იქონიებს ზეგავლენას ეს წინადადება*, ინფორმაცია შესაძლებელია მოპოვებული იქნეს სხვადასხვა სტატისტიკური წყაროდან[16] ეკონომიკური სექტორების მიხედვით. პრაქტიკაში შესაძლოა, საჭირო გახდეს მიახლოვების და ექსტრაპოლაციის მეთოდი. ასეთ დროს, გამჭვირვალედ უნდა წარმოადგინოთ თქვენი დაშვებები და მონაცემთა შეზღუდვები. ანალიზის დახვეწა შესაძლებელია ტესტის შემდგომ ეტაპზე (მაგ., კონსულტაციების შემდგომ).

მნიშვნელოვანია დინამიკური პერსპექტივა, კერძოდ, იმის გაგება, თუ როგორ არის ეკო-ნომიკური სექტორი (მრეწველობა) სტრუქტურირებული და რა საქმიანობაა წარმოდგე-ნილი ღირებულებათა ჯაჭვის გასწვრივ. ანალიზის მიზნობრივად წარმართვისათვის და-ეყრდენით ინტერვენციის ლოგიკის მოდელს.

სახელმძღვანელო კითხვები

- ✔ *რომელი ეკონომიკური სექტორები ან/და ქვესექტორები ექცევა საკანონმდებლო ინიციატივის ფარგლებში?*
- ✔ *ეხებათ თუ არა მიწოდების ჯაჭვში არსებულ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს ეს წინადადება?*
- ✔ *რამდენი ასეთი საწარმოა? როგორია შესაბამისად, საშუალო, მცირე და მიკრო საწარმოების გადანაწილება?*
- ✔ *რა არის თითოეული SME ქვეკატეგორიის წილი დასაქმების, წლიური ბრუნვის საბაზრო წილის თუ სხვა ინდიკატორების ჭრილში?*

16. საჭირო სტატისტიკური ინფორმაციის მოსაპოვებლად შესაძლებელია რამდენიმე ინსტიტუციასთან კონ-სულტაცია, მათ შორის, საქსტატი: https://www.geostat.ge/en; ეროვნული ბანკი: https://nbg.gov.ge/en და https://nbg.gov.ge/ en/statistics/national-data

მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე გავლენა შესაძლოა განსხვავებული იყოს შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

- ✔ *არის თუ არა გეოგრაფიულ მახასითებელში განსხვავება (მაგ. სასოფლო დასახლებებიი, სანაპირო რეგიონები და ა.შ.);*
- ✔ კომპანიების აქტივობა მეტწილად დაკავშირებულია ექსპორტთან თუ იმპორტთან?
- ✔ *ფუნქციონირებენ თუ არა კომპანიები სპეციალური ბიზნეს-მოდელებით (მაგ., ქვეკონტრაქტები, ნახევარი განაკვეთები, სახლიდან მუშაობა, თვითდასაქმებულები, კოლექტიური ხელშეკრულებები და ა.შ.).*

IV.2. მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე ზეგავლენის შეფასება

IV.2.1. ზეგავლენის ტიპი

იმ შემთხვევაში, თუ ინიციატივა გავლენას ახდენს მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე, მნიშვნელოვანია იმის დადგენა, *თუ რა ზეგავლენას მოახდენს ინიციატივა* მათ საქმიანობაზე. გავლენა შესაძლოა იყოს სხვადასხვაგვარი (ხარჯი, ისევე როგორც სარგებელი) – იხ. ჩანართი 2.

უპირველეს ყოვლისა, RIA-SME ტესტის მიზანია დადგინდეს, პროპორციულია თუ არა მცირე ბიზნესზე ადმინისტრაციული და შესაბამისობის ხარჯებით გამოწვეული ზეგავლენა. მეტიც, RIA-SME ტესტმა მცირე და საშუალო საწარმოებზე არაპირდაპირი ზეგავლენა უნდა გამოიკვლიოს. აღსანიშნავია, რომ მწარმოებელი ფირმები ამავდროულად სხვა ფირმების მიერ წარმოებული შუალედური საქონლისა და მომსახურების (როგორიცაა, ნედლეული, კომპონენტები ან ბიზნეს მომსახურება) მომხმარებლები არიან. ამ ფირმებს შორის კავშირის (ე.წ. ღირებულებათა ჯაჭვი) მნიშვნელობა მზარდია, რადგან კომპანიები სულ უფრო მეტად აწვდიან თავიანთი პროდუქციის ნაწილს ქვეკონტრაქტორებს, ხშირად საზღვარგარეთაც.

ჩანართი 2. ხარჯებისა და სარგებლის კლასიფიკაცია[17]

მარეგულირებელი მოთხოვნების გამო ხარჯები დაკავშირებულია რესურსების გადანაწილებასთან. *პირდაპირი შესაბამისობის ხარჯები* არის ხარჯების მნიშვნელოვანი კატეგორია, რამდენადაც ისინი უშუალოდ გაწეულია ბიზნესისა და სხვა მხარეების მიერ ახალ მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის და შესაბამისი საჭირო ქმედებების შესასრულებლად.

17. ეს ინსტრუქცია ძირითადად გამომდინარეობს ევროკომისიის უკეთესი რეგულირების ინსტრუმენტებიდან, ინსტრუმენტი #59, რომელიც ეხება ხარჯებისა და სარგებლის შეფასების მეთოდებს. (https://commission.europa.eu/law/law-making-process/planning-and-proposing-law/better-regulation/better-regulation-guidelines-and-toolbox/better-regulation-toolbox_en). დამატებითი მნიშვნელოვანი წყარო არის OECD რეგულირების შესაბამისობის დანახარჯების შეფასების სახელმძღვანელო (https://read.oecd-ilibrary.org/governance/oecd-regulatory-compliance-cost-assessment-guidance_9789264209657-en).

პირდაპირი შესაბამისობის დანახარჯები, ძირითადად, გამოითვლება, როგორც კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის წამოქმნილი პირდაპირი ხარჯების ჯამი. სასარგებლო პრაქტიკას წარმოადგენს შესაბამისობის ხარჯების ანალიზი (შეფასება) ცალკეული კომპონენტის საფუძველზე, კერძოდ:

- ✔ *გადასახადები* (საკომისიოები, მოსაკრებლები ან გადასახადები, რომლებიც დგინდება წარმოდგენილი ინიციატივის შედეგად გარკვეული დაინტერესებული მხარეებისთვის);
- ✔ *ადმინისტრაციული ხარჯები* (საკანონმდებლო ინიციატივიდან გამომდინარე წარმოშობილი ვალდებულებების შესრულების ხარჯები);
- ✔ *არსებითი შესაბამისობის დანახარჯები* (დამატებითი ხარჯები, გარდა გადასახადებისა და ადმინისტრაციული ხარჯებისა, როგორიცაა: განხორციელების ხარჯები, პირდაპირი შრომითი ხარჯები, ფიქსირებული ხარჯები, აღჭურვილობის ხარჯები, მატერიალური ხარჯები, გარე მომსახურების ღირებულება და ა.შ.)

არაპირდაპირი ხარჯები არის მეორე რიგის უარყოფითი ზემოქმედება, რომელიც წარმოიშობა რეგულაციის სამიზნე სექტორისთვის მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის შედეგად ან ბაზრისა და საზოგადოების სხვა სუბიექტებზე, რომლებზეც რეგულაციამ გავლენა იქონია, თუმცა, ეს სუბიექტები არ წარმოადგენენ რეგულაციის ძირითად ადრესატებს. არაპირდაპირი ხარჯი ძირითადად გადაეცემა რეგულირებულ სექტორში წარმოებული საქონლისა და მომსახურების ფასების ცვლილების გზით, რაც, შემდეგ უკვე გადაეცემა მთლიან ეკონომიკას. აღნიშნული იწვევს სხვა სექტორებში ფასების ზრდას ან კლებას და საბოლოოდ, გავლენას ახდენს მომხმარებელთა შემოსავალზე.

სარგებელს არ აქვს ხარჯების მსგავსი მკაფიო კლასიფიკაცია. თუმცა, სარგებელიც შესაძლოა იყოს პირდაპირი ან არაპირდაპირი ხასიათის. ეს ნიშნავს, რომ სარგებლის მიმღები შესაძლოა იყოს არა მხოლოდ ის დაინტერესებული მხარეები, რომლებიც ინიციატივის სამიზნე ფარგლებში ექცევიან, არამედ, გასცდეს სამიზნე ჯგუფს და დიფუზურ სოციალურ სარგებლად იქცეს. კერძოდ:

- ✔ *პირდაპირი სარგებელი* შეიძლება გამოიხატოს ბაზრის ეფექტიანობის გაუმჯობესებაში, ან მოქალაქეების დამატებით სარგებელში, კეთილდღეობასა და კმაყოფილების ხარისხში;
- ✔ *არაპირდაპირი სარგებელი* მოიცავს გვერდით ეფექტებს, (ე.წ. „არაპირდაპირი შესაბამისობის სარგებლები”); უფრო ფართო მაკროეკონომიკური სარგებლები, მათ შორის, მშპ-ს ზრდა, პროდუქტიულობის ზრდა, დასაქმების მაღალი მაჩვენებელი და სხვა. ასევე, სხვა არამონეტიზებული სარგებელი, როგორიცაა ფუნდამენტური უფლებების დაცვა, საერთაშორისო და ეროვნული სტაბილურობა და სხვ.

დანართი A.2. დამატებით განავრცობს მცირე და საშუალო ზომის ბიზნესზე გავლენის დახასიათებას.

IV.2.2. მცირე და საშუალო საწარმოებზე არსებული ზეგავლენის შეფასება

აღნიშნული ეტაპის მიზანია მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე ინიციატივის ზეგავლენის შეფასება, რაც უნდა შეფასდეს რაოდენობრივ (და მონეტიზაციის) ჭრილში, კვლევების, სხვადასხვა ანალიზის, ანგარიშებისა და სხვა ხელმისაწვდომი სტატისტიკური მონაცემების გამოყენებით, რომლებიც დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებით იქნება გამყარებული.

IV.2.2.1 პირდაპირი შესაბამისობის ხარჯების შეფასება

შესაბამისობის ხარჯები შესაძლოა შეფასდეს მისი ცალკეული კომპონენტის მიხედვით: გადასახადები, ადმინისტრაციული ხარჯები და არსებითი შესაბამისობის ხარჯები[18]. ამგვარი ხარჯების გაზომვის რამდენიმე მაგალითი არსებობს:

- ✔ *გადასახადების გაზომვა* – გადასახადები შეიძლება გაიზომოს შემდეგი სამი პარამეტრის მიხედვით: დაინტერესებული მხარეების (SME) რაოდენობის შეფასებით, რომლებსაც მოუწევთ დაწესებული გადასახადების გადახდა, გადახდების სიხშირითა და ერთეულის ღირებულებით (გადასახადის ოდენობა, მოსაკრებელი). მაჩვენებელი მიიღებაამ სამი პარამეტრის ერთმანეთზე გადამრავლებით.

  მაგალითისათვის, თუ თქვენ ვარაუდობთ, რომ 1000 საწარმოს მოუწევს წელიწადში 2-ჯერ გადაიხადოს ლიცენზიის საფასური 80 ლარი, თქვენი ჯამური გადასახადი ყოველწლიურად იქნება (1,000 x 80 x 2) = 160,000 ლარი.

- ✔ *ადმინისტრაციული ხარჯების გაზომვა* – ადმინისტრაციული ხარჯები შეიძლება შეფასდეს სტანდარტული ხარჯების მოდელის (SCM) გამოყენებით. გათვალისწინებული უნდა იყოს განმეორებადი ადმინისტრაციული ხარჯები და სადაც აუცილებელია, ერთჯერადი ადმინისტრაციული ხარჯები. SCM განტოლება აფასებს ადმინისტრაციულ ხარჯებს შემდეგი პარამეტრების გამოყენებით:

  - *თითოეული ქმედებისთვის საჭირო დრო;*
  - *შრომის საათობრივი ღირებულება;*
  - *საჭირო ქმედებების სიხშირე;*
  - *დაინტერესებული სუბიექტების რაოდენობა.*

ამ პარამეტრების გადამრავლება იძლევა ადმინისტრაციული ხარჯების შეფასებას, რომელიც დაკავშირებულია შემოთავაზებული ინიციატივით წარმოშობილი ვალდებულებების შესრულებასთან[19].

---

18. საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი მოთხოვნების და დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესამოწმებლად იხილეთ: საქართველოს მთავრობის დადგენილებაება N35, რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ (MATSNE, 2020), რომელიც ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/en/document/download/4776100/0/en/pdf

19. მოკლე დისკუსიისა და ქართულ გამოცდილებაზე დაფუძნებული მაგალითებისათვის RIA სახელმძღვანელო პრაქტიკოსებისათვის (USAID, 2021) გვ.93-94 და 98-105. ხელმისაწვდომია: https://iset-pi.ge/storage/media/other/2021-07-13/64dd0710-e3de-11eb-9a86-cf56b5fdf018.pdf_ უფრო დეტალურად: https://www.oecd.org/regreform/regulatorypolicy/34227698.pdf. ან https://ec.europa.eu/eurostat/documents/64157/4374310/11-STANDARD-COST-MODEL-DK-SE-NO-BE-UK-NL-2004-EN-1.pdf/e703a6d8-42b8-48c8-bdd9-572ab4484dd3

- ✔ *შესაბამისობის არსებითი ხარჯების გაზომვა* – შესაძლებელია სხვადასხვა მეთოდოლოგიური მიდგომის გამოყენება სხვადასხვა ტიპის შესაბამისობის დანახარჯების შესაფასებლად (მაგ., ანაზღაურებადი შრომის ხარჯები, არაანაზღაურებადი შრომის ხარჯები, ფიქსირებული ხარჯები, აღჭურვილობის ხარჯები, მასალების ხარჯები, გარე მომსახურების ხარჯები). ყველა ამ მიდგომას აქვს საერთო დაშვება: შესაბამისობა შესაძლებელია წარმოდგენილი იქნეს, როგორც განსახორციელელი აქტივობების ერთობლიობა. რეალობაში ყოველთვის ასე არ არის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შემოთავაზებული პოლიტიკა არის კომპლექსური და შესაბამისობის მიღწევა შესაძლებელია სხვა გზებით[20].

IV.2.2.2. არაპირდაპირი ხარჯების შეფასება

არაპირდაპირი ხარჯები შესაძლებელია ეხებოდეს როგორც იმ მცირე და საშუალო საწარმოებს, რომლებზეც პირდაპირ ახდენს გავლენას მარეგულირებელი წინადადება, ასევე, სხვა დაინტერესებულ მხარეებს. მათი მონეტიზაცია შესაძლებელია, თუმცა შეფასება უფრო რთული და შრომატევადია. მსგავსი შეფასება უნდა განახორციელოთ საჭიროების შემთხვევაში და მოიძიოთ ექსპერტული რჩევა ეკონომისტებისგან, აგრეთვე დაეყრდნოთ დაინტერესებული მხარეების შეხედულებებს.

არაპირდაპირი ხარჯი შესაძლოა იყოს სხვადასხვა ფორმის, გავლენას ახდენდეს პროდუქტიულობის დონეზე, R&D-სა და ინოვაციაზე ან ვაჭრობაზე. თითოეულმა ამ კატეგორიამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობაზე. როგორც აღინიშნა, ამის გათვალისწინება განსაკუთრებით არსებითია მაშინ, როდესაც ინიციატივა ყველაზე მეტად ეხება იმ მცირე და საშუალო საწარმოებს, რომლებიც ყველაზე დინამიკურია და აქვს გაფართოების, ასევე ეკონომიკური ზრდის პოტენციალი. მარეგულირებელმა წინადადებებმა შესაძლოა ამ ფირმების განვითარებისა და წარმოების ციკლის განმავლობაში R&D-ისან საოპერაციო ხარჯების გადანაწილება შეცვალოს, რაც, შესაბამისად, ინვესტიციებს ნაკლებად მიმზიდველსა და მომგებიანს ხდის. შედეგად, ინოვაციისა და ბაზარზე წვდომის შესაძლებლობები მცირდება.

ამ ტიპის ცვლილებების იდენტიფიცირება და შეფასება ეკონომიკის, ინვესტიციების და ინოვაციური ფირმების ბიზნეს-მოდელების საკმაოდ საფუძვლიან ცოდნას მოითხოვს. შესაბამისად, რეკომენდებულია სტრუქტურირებული კონსულტაციების ჩატარება (მაგ. ფოკუს ჯგუფების ან პირდაპირი ინტერვიუების მეშვეობით). საერთაშორისო სახელმძღვანელო გთავაზობთ ელემენტებს, რომლებიც კონკურენტუნარიანობის, ინოვაციისა და ვაჭრობის არაპირდაპირი ხარჯების გამოკვლევისას უნდა იქნეს გათვალისწინებული[21].

---

20. მოკლე დისკუსიისა და ქართულ გამოცდილებაზე დაფუძნებული მაგალითებისათვის RIA სახელმძღვანელო პრაქტიკოსებისათვის (USAID, 2021) გვ.93-94 და 98-105. ხელმისაწვდომია https://iset-pi.ge/storage/media/other/2021-07-13/64dd0710-e3de-11eb-9a86-cf56b5fdf018.pdf_ უფრო დეტალურად შესაბამისობის ხარჯების რაოდენობრივი განსაზღვრის გზების შესახებ იხილეთ, მაგალითად: OECD-ის მარეგულირებელი შესაბამისობის ხარჯების შეფასების სახელმძღვანელო (2014). ხელმისაწვდომია: https://www.oecd-ilibrary.org/oecd-regulatory-compliance-cost-assessment-guidance_5jz78m5mpm0t.pdf?itemId=%2Fcontent%2Fpublication%2F9789264209657-en&mimeType=pdf

21. ინსტრუმენტი #21 დარგობრივი კონკურენტუნარიანობის შესახებ, ინსტრუმენტი #22 კვლევისა და ინოვაციების შესახებ და ინსტრუმენტი #27 გარე ვაჭრობისა და ინვესტიციების შესახებ, ევროკომისიის უკეთესი რეგულაციების ინსტრუმენტი მოიცავს ხედვებსა და ინსტრუქციებს, თუ როგორ უნდა შეფასდეს ეს ზემოქმედება. იხილეთ: https://commission.europa.eu/law/law-making-process/planning-and-proposing-law/better-regulation/better-regulation-guidelines-and-toolbox/better-regulation-toolbox_en

IV.2.3. არაპროპორციული ხარჯების განსაზღვრა

შესაბამისობის ხარჯები უმეტესად ფიქსირებულია, ამიტომაც ისინი ან არ იზრდება ბიზნესის გამოშვების დონესთან ერთად, ან ნებისმიერი ზრდა პროპორციულად გამოშვების დონის ზრდაზე ნაკლებია. ეს გულისხმობს, რომ შესაბამისობის ხარჯები, როგორც წესი, შედარებით მეტია მცირე ბიზნესებისათვის (იზომება როგორც რესურსების ხარჯის ან გამოშვების ერთეულის პროპორციულად).

შედარება უნდა მოხდეს სხვადასხვა ტიპის ბიზნესს, პირველ რიგში, მცირე და საშუალო და დიდ ბიზნესს შორის, თუმცა, ასევე, მიკრო ბიზნესსა და საშუალო ზომის საწარმოებს შორის. არაპროპორციულობის დადგენის ერთ-ერთი შესაძლო მარტივი მეთოდია თქვენ მიერ გამოთვლილი მთლიანი დანახარჯის, დასაქმებული პერსონალის რაოდენობაზე გაყოფა, ერთ თანამშრომელზე საშუალო ღირებულების მისაღებად (იხ. ჩანართი 3).

თუმცა, ინდუსტრიის სეგმენტში გარკვეულ შემთხვევებში ექსტრაპოლაცია და განზოგადება შესაძლოა შეცდომაში შემყვანი იყოს. შესაბამისად, გირჩევთ, უშუალოდ მიმართოთ იმ ბიზნესებს (ბიზნესის წარმომადგენლებს), რომლებზეც იდენტიფიცირებულია შემოთავაზებული წინადადების განსაკუთრებული ზეგავლენა.

ჩანართი 3. – როგორ განვსაზღვროთ არაპროპორციული ხარჯები

ახალი საკანონმდებლო ცვლილების მოთხოვნების გაცნობა და ანალიზი, როგორც აღინიშნა, შესაძლოა პროპორციულად დიდ ბიზნესთან შედარებით მცირე და საშუალო ბიზნესისთვის მძიმე ტვირთი აღმოჩნდეს, რაც, მაგალითად, წარმოშობს სპეციალიზებული კადრის - რეგულაციებთან დაკავშირებული მენეჯერის დასაქმების საჭიროებას. შესაძლოა, მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის ახალი რეგულაციების მოთხოვნების შესასრულებლად მეტი დროისა და რესურსის დახარჯვა გახდეს საჭირო, რაც, მათ შორის, მოიცავს პერსონალის მომზადებას, IT სისტემის ცვლილებას, ან ახალი პროცესების განვითარებას.

- ✔ **ახალი რეგულაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის საერთო ხარჯის გაყოფა დასაქმებული პერსონალის რაოდენობაზე** არაპროპორციული ზეგავლენის გაზომვის ერთ-ერთი მეთოდია, რომელიც არაპროპორციულობას აფასებს ერთ თანამშრომელზე ხარჯის მიხედვით. მაგალითად, თუ რეგულაციის განხორციელება ბიზნესისათვის 150,000 ლარი ჯდება, 100 თანამშრომლიანი ფირმისათვის ხარჯი თითოეულ თანამშრომელზე 1,500 ლარია, მაშინ, როცა 5 თანამშრომლიანი ფირმისთვის ეს ხარჯი 30,000 ლარი იქნება.
- ✔ რეგულაციასთან შესაბამისობისთვის გამოვლენილი ხარჯები, ასევე, შეიძლება შედარდეს **ბიზნესის ფიქსირებულ ხარჯებს ან ბრუნვის მოცულობას**, რათა დადგინდეს აქვს თუ არა მას არაპროპორციული გავლენა მცირე და საშუალო ბიზნესზე. ზემოთ მოყვანილ მაგალითს რომ დავუბრუნდეთ, მცირე კომპანიებისთვის, 1 მლნ ლარიანი ბრუნვით, 150,000 ლარიანი დანახარჯი კომპანიის ბრუნვის 15%-ს შეადგენს, როცა დიდი კომპანიისათვის, 60 მლნ ლარიანი ბრუნვით, ეს მაჩვენებელი ბევრად მცირე, 0.25%-ია.
- ✔ გასათვალისწინებელია რეგულაციით დადგენილი მოთხოვნების ხასიათი. მაგალითად, ერთი მხრივ, დიდი საწარმოებისათვის, რომლებსაც ბევრი ადმინისტრაციული სახის სამუშაოს შესრულება უწევს, დაწესებული მოთხოვნებისა და მარეგულირებელი ვალდებულებების რაციონალიზაციის შედეგად ინვესტიციის ჩადება გაციფრულებაში (IT პროგრამული უზრუნველყოფა და აღჭურვილობა) მომგებიანი გადაწყვეტილებაა. მეორე მხრივ, მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის ეს ინვესტიცია შესაძლოა არ იყოს ღირებული, რადგანაც მათ შედარებით მცირე რაოდენობით, ნაკლები სიხშირითა და მოცულობით უწევთ ადმინისტრაციული წარმოება.

IV.3. ალტერნატიული მექანიზმებისა და შედეგების შემსუბუქების შეფასება

აღნიშნული ეტაპის მიზანია, შეფასდეს ის ალტერნატივები, რომელთა მეშვეობით მცირე ბიზნესებს შესაძლებლობა ეძლევათ, მათი მახასიათებლების გათვალისწინებით, უფრო მომზადებული შეხვდნენ და შედარებით ნაკლები გამოწვევებით დააკმაყოფილონ მარეგულირებელი მოთხოვნები.

IV.3.1. ალტერნატივების შესაძლო მონახაზები:

- ✔ *მარეგულირებელი მოთხოვნებისგან ნაწილობრივი ან სრული გათავისუფლება* – მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილება თითოეულ შემთხვევაზე ინდივიდუალურად უნდა იქნეს მიღებული, რეალურად, აღნიშნული ვარიანტი სავალდებულოდ (default option) უნდა იყოს შეფასებული, როდესაც განიხილება გავლენა ისეთ მიკროსაწარმოებსა და ბიზნესზე, სადაც 10-ზე ნაკლები თანამშრომელია. გამონაკლისის დაშვება არ უნდა მოხდეს, ან თუ არსებობს მაღალი „პოლიტიკის ხარჯი" ან მნიშვნელოვანი არასასურველი შედეგების დადგომის ალბათობა (იხილეთ ქვეთავი 3.2.);
- ✔ *ამოქმედების საერთო თარიღები* – ახალი მარეგულირებელი ნორმების ძალაში შესვლის თარიღების სიხშირის შეზღუდვით (ჩვეულებრივ, წელიწადში ორჯერ), რაც მცირე და საშუალო ბიზნესების მომავალი სამართლებრივი მოთხოვნების შესახებ ინფორმირებულობას შეუწყობს ხელს და შესაბამისად, მათ საშუალებას მისცემს დაგეგმონ და მოემზადონ რეგულაციასთან შესაბამისობაში მოსასვლელად.
- ✔ *გარდამავალი პერიოდის გახანგრძლივება* – რომელიც „დროებითი გამონაკლისების" ფორმასაც იღებს, შესაძლებლობას აძლევს ბიზნესს, გაეცნოს მარეგულირებელ მოთხოვნებს, შესაბამისობის საკითხებთან დაკავშირებით აწარმოოს გარე კონსულტაციები მოერგოს ცვლილებებს ადმინისტრაციული, წარმოების, ტრანსპორტირების, მარკეტინგის და ა.შ. მიმართულებით;
- ✔ *წვდომა მიზნობრივი მხარდაჭერის მექანიზმებზე* – შესაძლოა მოიცავდეს მცირე ბიზნესისთვის კონსულტაციის გაწევას და დახმარებას მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ან ინფორმაციაზე წვდომის ხელშეწყობის მიმართულებით (ცხელი ხაზი, „ერთი ფანჯრის" პრინციპი, „მხოლოდ ერთხელ" პრინციპი[22], ტრენინგები და სხვ.);
- ✔ *მორგებული მოთხოვნები* – აღნიშნული შესაძლოა გულისხმობდეს სრულად ლიცენზირების ნაცვლად, მცირე ბიზნესისთვის მხოლოდ დარეგისტრირების მოთხოვნას, გამარტივებული შაბლონების, ფორმების, ან დაჩქარებული პროცედურების გამოყენების შესაძლებლობას; მცირე ბიზნესისათვის ნაკლებად მძიმე ან ნაკლებად ხშირი ანგარიშგებისა და ინსპექტირების რეჟიმების განხორციელებას და სხვ.

---

22. „მხოლოდ ერთხელ" პრინციპი სახელმწიფო დაწესებულებებს აკისრებს ვალდებულებას, დაინტერესებული მხარის მიერ საჯარო ადმინისტრირების პროცესში ერთხელ უკვე მიწოდებული ინფორმაცია განმეორებით აღარ მოითხოვოს.

- ✔ *რისკზე დაფუძნებული აღსრულება* – რისკზე დაფუძნებული მიდგომა უზრუნველყოფს ბიზნესის დაბალ რისკებს, მათ შორის, აღმასრულებელი ორგანოების (ინსპექტორები) არასაჭირო ინსპექტირებების მინიმიზებას. რისკზე დაფუძ_ ნებული მიდგომის მიხედვით, შესაბამისობის ხარჯები ბიზნესისათვის და ადმინისტრაციული ხარჯები მარეგულირებელი ორგანოებისთვის იმ რისკების პროპორციულია, რომლის წინაშეც დგება რეგულირების შედეგები და თავის მხრივ, საზოგადოება[23];
- ✔ *შეუსაბამობისთვის დაწესებული ჯარიმების საფეხურებრივი სისტემა* – შესაძლოა გულისხმობდეს, მაგალითად, ჯარიმის ოდენობის დიფერენცირებას კომპანიის ზომის ან ბრუნვის მიხედვით ისევე, როგორც პირველ ეტაპზე „გამაფრთხილებელ განცხადებას" მცირე ბიზნესის დაჯარიმებამდე;
- ✔ *ნებაყოფლობითი გადაწყვეტილებები* – შესაძლებელია მცირე ბიზნესებისთვის გაკეთდეს შეთავაზება გაწევრიანდნენ კერძო ნებაყოფლობით სქემებში, რომლებიც იმართება მწარმოებელთა, სავაჭრო და პროფესიული ასოციაციების მიერ;
- ✔ *ფინანსური დახმარება* – შესაძლოა განხორციელდეს პირდაპირი (მაგ., მცირე ბიზნესისათვის დაბალი გადასახადებისა და მოსაკრებლების მეშვეობით) ან არაპირდაპირი (მაგ., მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს შეუძლია მიიღოს სუბსიდიები, მარტივი საკრედიტო პირობები ან შესაბამისობის დანახარჯების ანაზღაურება) გზით.

IV.3.2. ღონისძიებების მიზანშეწონილობის განსაზღვრა

იდენტიფიცირებული ალტერნატივების მიზანშეწონილობის შესაფასებლად, თქვენ ამ ალტერნატივებთან დაკავშირებული დანახარჯები და სარგებლები უნდა შეაფასოთ.

RIA-სგან განხვავებით, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს მარეგულირებელი ინტერვენციის[24] წმინდა საზოგადოებრივი სარგებელი, RIA-SME ტესტმა საჭიროა განსაზღვროს, არის, თუ არა ასეთი შემარბილებელი ღონისძიებები და გამონაკლისები შესაძლებელი, სასურველი და პროპორციული. ამგვარი შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ორ ასპექტს (იხ. ჩანართი 4):

- ✔ *შემარბილებელი ღონისძიების/გამონაკლისების „პოლიტიკის ხარჯი" - ითვალისწინებს შეფასებას,* თუ რამდენად დაზარალდება თქვენს წინადადებაში წარმოდგენილი პოლიტიკის მიზანი მცირე და საშუალო ზომის საწარმოებთან გამონაკლისის/შერბილების პოლიტიკის გამოყენების შემთხვევაში. აღნიშნული მოიცავს

23. თეორიულად, რისკზე დაფუძნებული მიდგომის მიხედვით, დაბალი რისკის მქონე ბიზნესი შესაძლოა ნაკლებ ინსპექტირებასა და ანგარიშგების ნაკლებად ხშირ ვალდებულებებს დაექვემდებაროს, რაც ბიზნესის და მარეგულირებელი ორგანოს ხარჯს ამცირებს. ამის საპირისპიროდ, მაღალრისკიან კომპანიებს შესაძლოა, დამატებითი შესაბამისობის დანახარჯების გაწევა მოუწიოთ განსაკუთრებით მაშინ, თუ მარეგულირებელი საკითხისადმი უფრო დეტალურ მიდგომას გადაწყვეტს.

24. RIA-ებში გამოყენებული ტიპური მეთოდოლოგიებია Cost-Benefit Analysis, Cost-Effectiveness Analysis ან Multi-Criteria.

იმის განსაზღვრას, არის, თუ არა მოსალოდნელი მცირე ბიზნესისთვის ალტერნატიულ მიდგომებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი პოტენციური არასასურველი ეფექტის მიღება;

- ✔ *შემარბილებელი ღონისძიების/გამონაკლისის სარგებელი* - შეფასებული უნდა იქნას, რამდენად არის შესაძლებელი მცირე და საშუალო ბიზნესის მთლიანი ხარჯების დაზოგვა გათვალისწინებული შემარბილებელი ღონისძიებების გატარების შედეგად.

ჩანართი 4. – პროპორციული ალტერნატიული და შემარბილებელი ღონისძიებები მცირე და საშუალო ზომის საწარმოთათვის

მაგალითები:

- ✔ **პოლიტიკის მიზნის კომპრომეტირების** მაგალითი ეხება იმ შემთხვევას, როდესაც მცირე ბიზნესი ამარაგებს მომხმარებელთა დიდ ნაწილს და ცალსახა გამონაკლისებმა, შესაძლოა, მომხმარებელთ ჯანმრთელობასა და უსაფრთხოების დაცვას საფრთხე შეუქმნას.
- ✔ **გაუთვალისწინებელი შედეგების** მაგალითი უკავშირდებაშემთხვევას, როდესაც გარკვეულ ზღვარს (რომლის ზემოთ არსებული ბიზნესებისთვის მარეგულირებელ მოთხოვნებთან სრული შესაბამასისობაა სავალდებულო) ქვემოთ მყოფი ბიზნესების სრულმა გათავისუფლებამ შესაძლოა, ზღვარს ქვემოთ ფუნქციონირებადი ბიზნესების გამსხვილების სტიმულები შეამციროს. კერძოდ, თუ შესაბამისობის ხარჯების მოცულობა, რომლის ვალდებულება და საჭიროებაც დგება შესაბამისობის ზღვრის გადალახვის შედეგად, მნიშვნელოვნად გაზრდის ბიზნესის საერთო ხარჯებს, ამან შესაძლოა ბიზნესს გამსხვილების სტიმული შეუმციროს[25]. ეტაპობრივმა მიდგომამ (რომელიც გულისხმობს შესაბამისობის ხარისხის ეტაპობრივად ზრდის ვალდებულებას ბიზნესის გამსხვილებასთან ერთად), სრულ გათავისუფლებასთან შედარებით, შესაძლოა ბიზნესის გაფართოების ბარიერები შეამციროს.
- ✔ **გათავისუფლების სარგებელი** - შემთხვევა, როდესაც მცირე ბიზნესი (შემოსავლის გარკვეული ზღვრის ქვემოთ მყოფი) გარკვეული საფასურის გადახდისგან სრულად თავისუფლდება. აღნიშნული კი როგორც ფინანსური, ასევე, ადმინისტრაციული ხარჯების დაზოგვას განაპირობებს.
- ✔ **შემარბილებელი ღონისძიებისგან მიღებული სარგებელი** ეხება შემთხვევებს, როდესაც მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნები მორგებულია ბიზნესის ზომაზე (მცირე ბიზნესისთვის, მსხვილი ბიზნესთან შედარებითუფრო მარტივი, „მსუბუქი" მოთხოვნების განსაზღვრა)). აღნიშნული კი ამცირებს მცირე ბიზნესისთვის შესაბამისობის ხარჯებს.
- ✔ **შემარბილებელი ღონისძიებისგან მიღებული სარგებლის** კიდევ ერთი მაგალითია შემთხვევა, როდესაც მცირე და საშუალო საწარმოებს სპეციალური სააგენტოების/ ორგანიზაციების შექმნის გზით მიზნობრივ დახმარებაზე წვდომა ეძლევა. შესაბამის ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველყოფით მცირდება ის დრო და ძალისხმევა, რომელსაც მცირე და საშუალო ბიზნესი საჭიროებს მარეგულირებელი და სხვა მოთხოვნების გასაცნობად.

25. საილუსტრაციოდ განიხილეთ რეგულაცია, რომელიც ბიზნესებს დასაქმებული პერსონალის რაოდენობის პროპორციულ ხარჯს აკისრებს. დავუშვათ, შესაბამისობის ხარჯი თითოეულ დასაქმებულზე, დაახლოებით, 1,000 ლარია და ბიზნესები, რომლებსაც 10-ზე ნაკლები თანამშრომელი ჰყავს სრული გათავისუფლებით სარგებლობს. თუ ბიზნესს, 9 თანამშრომლით, სურს ოპერაციების გაფართოვება და დამატებითი პერსონალის დასაქმება, ამ ბიზნესისთვის შესაბამისობის ხარჯის ზრდა ერთი დამატებითი თანამშრომლის დასაქმების შედეგად 10,000 ლარი იქნება.

აღნიშნული ღონისძიებები გულისხმობს კონსულტაციების პროცესში ჩართული ბიზნესების მიერ ალტერნატიული მიდგომებით მიღებულ მოსალოდნელ სარგებლებზე ინფორმაციის მოპოვებას (შემცირებული ადმინისტრაციული ხარჯები, წარმოების პროცესის ცვლილების შემცირებული ხარჯები, გარე კონსულტაციების შემცირებული ხარჯები, ახალ აღჭურვილობასა და სხვა ტექნოლოგიაზე ხარჯების დაყოვნება, შეუსაბამობის ჯარიმების შემცირება და ა.შ. თითოეული ალტერნატივის შედარება ხდება თავდაპირველ წინადადებასთან).

აღნიშნული ღონისძიებები, ასევე, მოიცავს ალტერნატიული მიდგომების დამატებითი ხარჯების ან სარგებლების შეფასებას მთავრობისთვის (მიზნობრივი დახმარების გაწევის ხარჯები, ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლების შემცირება, შეუსაბამობასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირება, მარეგულირებელი მიზნების დაგვიანებული მიღწევა განხორციელების ვადების გახანგრძლივებისგამო და სხვ.).

IV.4. კონსულტაციები SME დაინტერესებულ მხარეებთან და მონაცემების შეგროვება

მცირე ბიზნესის კონსულტირება არ არის მარტივი ამოცანა და როგორც წესი, რაც უფრო მცირეა ბიზნესი, მით უფრო რთულია მისი კონსულტირება. მიუხედავად ამისა, მიზნობრივი კონსულტაციები RIA-SME ტესტის ჩატარებისთვის უმნიშნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს.

RIA-SME ტესტის პროცესში მიმდინარე კონსულტაციების ეტაპის მიზანია, მაქსიმალურად რელევანტური ინფორმაციის მოპოვება იმ მცირე და საშუალო საწარმოებზე, რომლებზეც მარეგულირებელი წინადადება ახდენს გავლენას. აღნიშნულ სახელმძღვანელოში მოცემული ინსტრუქცია სწორედ ამ მიზნის მიღწევაში დაგეხმარებათ. თქვენ,ასევე, უნდა წარადგინოთ დაინტერესებული მხარეების ფართო მატრიცა და RIA-ს ანალიზის[26] პროცესში გაითვალისწინოთ ყველა შესაბამისი ეკონომიკური აქტორი თუ ჯგუფი.

SME დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებიდან მიღებული **ინფორმაცია უნდა გამოიყენოთ RIA-SME ტესტის ყველა საფეხურზე.** განსაკუთრებით გასათვალისწინებელია შემდეგი:

- ✔ *კონსულტაციები გადანაწილების ანალიზის ეტაპზე* (პირველი ეტაპი) – აღნიშნულ ეტაპზე, საჯარო ადმინისტრაციების მონაცემთა ბაზებიდან სტატისტიკური მონაცემების უმეტესობის მოძიება უნდა შეძლოთ. აღნიშნული გარკვეულ სირთულეებთან იქნება დაკავშირებული, თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ RIA-ს ანალიზის კონტექსტი მკაფიოდ ჩამოაყალიბოთ და SME დაინტერესებული მხარეებისგან მაქსიმალურად მიიღოთ ანალიზისთვის საჭირო შესაბამისი ინფორმაცია.

26. დეტალური ინფორმაციისა და ქართული გამოცდილებიდან მიღებული მაგალითებისთვის იხ. RIA-ს პრაქტიკოსთა სახელმძღვანელო, გვ. 16-30, ხელმისაწვდომია: https://iset-pi.ge/storage/media/other/2021-07- 13/64dd0710-e3de-11eb-9a86-cf56b5fdf018.pdf

ამასთან, მნიშვნელოვანი იქნება დაინტერესებულ მხარეთა მატრიცის სრულყოფა და როგორც გავლენის ქვეშ მყოფი ეკონომიკური სექტორ(ებ)ის, ასევე, მცირე და საშუალო საწარმოების ასახვა/გათვალისწინება.

- ✔ *კონსულტაციები ზეგავლენის შეფასების ეტაპზე* – მეორე ეტაპის ფარგლებში (ზეგავლენის შეფასება), უმნიშვნელოვანესია დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების ჩატარება მათზე ზეგავლენის მასშტაბის შესაფასებლად. მაგალითად, SCM (სტანდარტული ხარჯების მოდელი) გამოთვლების დასრულებისას, ზეგავლენის ქვეშ მყოფ ბიზნესს შესაძლებლობა ეძლევა, უპასუხოს შეკითხვებს ადმინისტრაციული ვალდებულებების შესრულებაზე დახარჯულ დროსთან დაკავშირებით. სტატისტიკური ინფორმაცია (როგორიცაა, კონკრეტულ სექტორში საწარმოთა რაოდენობა), რაც შესაძლოა იოლად ხელმისაწვდომი არ იყოს, შესაძლებელია სექტორულ ორგანიზაციებთან – სავაჭრო ასოციაციებთან და სამრეწველო პალატებთან კონსულტაციებისას იქნეს მოპოვებული. კონსულტაციების ეს ეტაპი იმ თვალსაზრისითაც არის განსაკუთრებულად სასარგებლო, რომ სწორედ ამ პროცესში შეიძლება გამოვლინდეს ნებისმიერი არაპირდაპირი ხარჯი და მარეგულირებელი წინადადების გაუთვალისწინებელი არასასურველი შედეგები, რაც სხვა შემთხვევაში შესაძლოა შეუმჩნეველი იყოს;
- ✔ *კონსულტაციები შემარბილებელი ღონისძიებების შეფასების ეტაპზე* - მესამე ეტაპი - შემარბილებელი ღონისძიების შეფასება), დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია დაგეხმარებათ, უკეთ გააანალიზოთ თქვენი არჩევანი შესაძლო შემარბილებელ ზომებთან დაკავშირებით. ბიზნესს აქვს შესაბამისი რესურსი და გამოცდილება იმ შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ, რომლებიც განაპირობებენ მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის პროცესის შემსუბუქებას, ასევე, მანამდე განხორციელებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომლებსაც პრაქტიკაში არ მოჰყოლია მარეგულირებელი ტვირთის შემცირება. მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისი დაინტერესებული მხარეების მიერ მოწოდებული კომენტარები და შემოთავაზებები დეტალურად და ზედმიწევნით განიხილოთ და შეაფასოთ მათი უპირატესობები თქვენ მიერ შემოთავაზებულ ზომებთან მიმართებით.
- ✔ *კონსულტაციები დასრულებულ RIA-SME ტესტის დოკუმენტის პროექტზე* – აღნიშნული ეტაპი ითვალისწინებს საჯარო კონსულტაციების ჩატარებას RIA-SME ტესტის დასრულებული დოკუმენტის პროექტზე.

დანართი A.3. დეტალურად განიხილავს კონსულტაციების რაუნდის დაგეგმვისა და მონაცემთა შეგროვების მეთოდებს.

ჩანართ 5-ში RIA-SME ტესტის თითოეულ საფეხურზე კონსულტაციების ჩატარებასთან დაკავ- შირებული რამდენიმე ძირითადი რჩევაა წარმოდგენილი.

ჩანართი 5. – რჩევები კონსულტაციების ეტაპზე

- ✔ საზოგადოების დროული ინფორმირება კონსულტაციის პერიოდის, ვადებისა და იმ არხების შესახებ, რომელთა საშუალებითაც მათ შეუძლიათ განხილვის პროცესში მონაწილეობის მიღება, კითხვების დასმა და წინადადებების შეთავაზება. აღნიშნული დაინტერესებულ მხარეებს მონაცემთა შეგროვების უკეთესად ორგანიზების, მტკიცებულებების მომზადებისა და პასუხების მიწოდების საშუალებას მისცემს, ასევე, გაზრდის კონსულტაციების ეტაპზე მათი მონაწილეობის შესაძლებლობას;
- ✔ მნიშვნელოვანია RIA-SME ტესტის ფარგლებში ადეკვატური ინფორმაციის მიწოდება იმის საილუსტრაციოდ, თუ რატომ არის წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება რეკომენდებული. აღნიშნული დაინტერესებულ მხარეებს არა მხოლოდ შემოთავაზებულ კანონმდებლობაში ასახულ საკანონმდებლო დებულებებთან, არამედ, RIA-SME ტესტთან დაკავშირებით ყოვლისმომცველი უკუკავშირის გაცემის შესაძლებლობას აძლევს;
- ✔ ამავე დროს, რაც შეიძლება მკაფიო და ზუსტი კითხვების დასმით, ნათლად მიუთითეთ კონკრეტული მოლოდინები კონსულტაციისგან. ასევე, გააერთიანეთ ღია და დახურული კითხვები, რაც გაზრდის კონსულტაციის პროცესის სარგებლიანობას;
- ✔ დაინტერესებული მხარეებისგან მიღებულ კომენტარებსა და შემოთავაზებებზე მიაწოდეთ უკუკავშირი. მკაფიოდ ჩამოაყალიბეთ და მტკიცებულებებით გაამყარეთ, კონსულტაციის პროცესში დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული რომელი მონაცემები იქნა ასახული, რომელი არა და ახსენით მიზეზები;
- ✔ კონსულტაციის ჩანაწერების შენახვით და დაინტერესებულ მხარეებთან გამართული შეხვედრების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებით უზრუნველყავით ჩატარებული კონსულტაციების გამჭვირვალობა.

ბიბლიოგრაფია

European Commission. (2023). Better regulation: Guidelines and toolbox. Accessed 4 August 2023 from https://commission.europa.eu/law/law-making-process/planning-and-proposing-law/better-regulation/better-regulation-guidelines-and-toolbox_en.

Foghani, S., Mahadi, B., & Rosmini O. (2017). Promoting Clusters and Networks for Small and Medium Enterprises to Economic Development in the Globalization Era. SAGE Open, January-March 2017: 1–9.

MATSNE. (2021). Law of Georgia on Entrepreneurs. Tbilisi, 2 August 2021. Accessed 13 September 2023 from https://matsne.gov.ge/en/document/download/5230186/2/en/pdf.

MATSNE. (2020). Ordinance No. 35 On the Approval of Regulatory Impact Assessment (RIA) Methodology. Tbilisi, 17 January 2020. Accessed 30 May 2023 from https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/4776100/0/en/pdf.

MATSNE. (2020). Law of Georgia on Rehabilitation and the Collective Satisfaction of Creditors' Claims. Tbilisi, 18 September 2020. Accessed 13 September 2023 from https://www.matsne.gov.ge/en/document/download/4993950/0/en/pdf

MATSNE. (2019). Law of Georgia on Mediation. Tbilisi 18 September 2019. Accessed 13 September 2023 from https://matsne.gov.ge/en/document/download/4646868/0/en/pdf.

MoESD. (2021). SME Development Strategy of Georgia: 2021-2025. The Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. Accessed 30 May 2023 from
http://www.economy.ge/uploads/files/2017/ek__politika/sme_strategy/2022/sme_strategy_2021_2025_eng_2.pdf.

OECD. (2022). Financing SME and Entrepreneurs 2022: an OECD Scoreboard. Accessed 30 May 2023 from
https://www.oecd-ilibrary.org/sites/00e218ce-en/index.html?itemId=/content/component/00e218ce-en

OECD. (2014). Regulatory Compliance Cost Assessment Guidance. Accessed 4 August 2023 from https://read.oecd-ilibrary.org/governance/oecd-regulatory-compliance-cost-assessment-guidance_9789264209657-en.

UN-DESA. (2020). Micro-, Small and Medium-sized Enterprises (MSMEs) and their role in achieving the Sustainable Development Goals (SDGs). Accessed 30 May 2023 from https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/26073MSMEs_and_SDGs.pdf.

USAID. (2021). RIA Manual for Practitioners. USAID: Good Governance Initiative, Tbilisi, Georgia.

დანართები

A.1. RIA-SME ტესტის შაბლონი

ინიციატორი სამინისტრო: .....

ინიციატივის სათაური: .....

რეგისტრაციის ნომერი: .....

საკონტაქტო ინფორმაცია: .....

ადგილი, თარიღი: .....

ხელმოწერა: .....

1. გადანაწილების ანალიზი

ჩამოაყალიბეთ გადანაწილების ანალიზის შედეგები, კერძოდ, ახდენს თუ არა გავლენას მარეგულირებელი წინადადება სხვადასხვა ზომის ბიზნესზე (მსხვილი, საშუალო, მცირე და მიკრო ბიზნესი) და თუ ახდენს, რა სპეციფიკის არის ეს გავლენა. ამასთან, მნიშვნელოვანია რაოდენობრივი მაჩვენებლების წყაროების მითითება.

ძირითადი კითხვები, რომლებსაც უნდა გაეცეს პასუხი აღნიშნულ ეტაპზე:

- ✔ *არის თუ არა ზეგავლენის ალბათობა მცირე და საშუალო ბიზნესზე?*
- ✔ *რა არის ზეგავლენის ქვეშ მყოფი მცირე და საშუალო ბიზნესის მახასიათებლები? (მაგ. ბიზნესების რაოდენობა, ზომა, საკუთრების ფორმა (ინდივიდუალური მეწარმე, პარტნიორობა, შპს და სხვ. და მათი გეოგრაფიული განაწილება?)*
- ✔ *რა გავლენას ახდენს მარეგულირებელი წინადადება მცირე და საშუალო საწარმოებზე?*

იხ. მცირე და საშუალო საწარმოების ტესტის სახელმძღვანელო, ნაწილი IV.1

2. გავლენის შეფასება

მიუთითეთ მარეგულირებელი წინადადების გავლენა მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე. ზემოქმედება უნდა იყოს გაანალიზებული რაოდენობრივი (ასევე მონეტიზებული) თვალსაზრისით, რამდენადაც ეს შესაძლებელია, კვლევების, ანალიზის დოკუმენტების, ანგარიშების და სხვა ხელმისაწვდომი სტატისტიკური მონაცემების გამოყენებით. გასათვალისწინებელია როგორც შესაბამისობის პირდაპირი, ასევე, არაპირდაპირი ხარჯები. მითითებული უნდა იყოს რაოდენობრივი ინდიკატორების წყაროები, მათ შორის, სტანდარტული ხარჯების მოდელის ჩარჩო, რომელიც გამოიყენება ადმინისტრაციული ხარჯების დასადგენად.
ძირითადი კითხვები, რომლებსაც უნდა გაეცეს პასუხი ამ ეტაპზე:

- ✔ *რამდენად დიდია გავლენა მცირე და საშუალო საწარმოებზე?*
- ✔ *არის თუ არა ტვირთი არაპროპორციული?*

ა) წარმოადგინეთ თქვენი ანალიზის შედეგები ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

მარეგულირებელი წინადადების მოთხოვნა	**მცირე და საშუალო საწარმოების ხარჯები (უარყოფითი ზეგავლენა)**
მოთხოვნა 1	
მოთხოვნა ...	

შენიშვნა: თუ რაოდენობრივი შეფასება (მონეტიზაცია) შეუძლებელია, გამოიყენეთ შემდეგი ხარისხობრივი კრიტერიუმები (ასევე მიუთითეთ, რატომ არ არის შესაძლებელი რაოდენობრივი ზეგავლენის განსაზღვრა):

– – მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა

– შეზღუდული უარყოფითი გავლენა

0 არანაირი გავლენა

+ შეზღუდული დადებითი გავლენა

+ + მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა

ბ) მიუთითეთ თქვენი შეფასების წყაროები და მეთოდები.

გ) დაადგინეთ არის, თუ არა და რატომ არის არაპროპორციული სავარაუდო ხარჯები მცირე და საშუალო საწარმოებზე.

იხ. მცირე და საშუალო საწარმოების ტესტის სახელმძღვანელო, ნაწილი IV.2.

3. ალტერნატიული მექანიზმებისა და შემარბილებელი ღონისძიებების შეფასება

შეაფასეთ არსებული ალტერნატიული, უფრო მოქნილი გზებისმართებულობა, რომლითაც მცირე ბიზნესს ეძლევა შესაძლებლობა, მარტივად დააკმაყოფილოს მარეგულირებელი მიზნები, მათი განსაკუთრებული მახასიათებლების გათვალისწინებით. მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ალტერნატიული და შემარბილებელი ღონისძიებები შესაძლოა იყოს: მარეგულირებელი მოთხოვნებისგან ნაწილობრივი ან სრული გათავისუფლება, ამოქმედების საერთო თარიღები, გარდამავალი პერიოდის გახანგრძლივება, მიზნობრივ დახმარებაზე ხელმისაწვდომა, ბიზნესზე მორგებული მოთხოვნები და სხვ. შეაფასეთ ალტერნატიული ვარიანტების ხარჯები და სარგებელი, რათა დადგინდეს ალტერნატივების მართებულობა.

ძირითადი კითხვები, რომლებსაც უნდა უპასუხოთ ამ ეტაპზე, არის:

- ✔ *შესაძლებელია, თუ არა ალტერნატიული ან შემარბილებელი ზომების გამოყენება?*
- ✔ *მიზანშეწონილია თუ არა მათი გამოყენება?*

ალტერნატიული/ შემარბილებელი ღონისძიებები	**სარგებელი (დადებითი ზემოქმედება / დანაზოგი) მცირე და საშუალო საწარმოებისთვის**	**ხარჯები (უარყოფითი ზემოქმედება) ეკონომიკისთვის/ საჯარო სექტორისთვის**
ღონისძიება 1		
ღონისძიება ...		

შენიშვნა: თქვენ უნდა გქონდეთ შესაძლებლობა, შეაფასოთ (მონეტიზაცია გაუკეთოთ) მცირე და საშუალო საწარმოების სარგებელს შემარბილებელი ღონისძიებებიდან. თქვენ ასევე უნდა შეეცადოთ, შეძლებისდაგვარად გამოთვალოთ ხარჯები ეკონომიკისთვის/საჯარო სექტორისთვის.

თუ რაოდენობრივი ანალიზი (მონეტიზაცია) შეუძლებელია, გამოიყენეთ შემდეგი ხარისხობრივი კრიტერიუმები (ამ შემთხვევაში მიუთითეთ ისიც, თუ რატომ არ არის შესაძლებელი რაოდენობრივი ზეგავლენის განსაზღვრა):

– – მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა

– შეზღუდული უარყოფითი ზეგავლენა

0 არანაირი ზეგავლენა

+ შეზღუდული დადებითი ზეგავლენა

+ + მნიშვნელოვანი დადებითი ზეგავლენა

იხ. მცირე და საშუალო საწარმოების ტესტის სახელმძღვანელო, ნაწილი IV.3.

კონსულტაციის ეტაპის შეჯამება

აღნიშნული ნაწილი ივსება RIA-SME ტესტის დოკუმენტზე მუშაობისას დაინტერესებულ მხარეებთან მიზნობრივი კონსულტაციების შემდგომ. დეტლურად მიუთითეთ SME დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული კონსულტაციებისა და სავალდებულო საჯარო კონსულტაციების შეჯამების შედეგები, დაწყების და დასრულების ზუსტი თარიღებით, ღონისძიებების ჩატარების თარიღებით და სხვ. წარმოდგენილი უნდა იყოს მიღებული და შემოთავაზებული კომენტარების საერთო რაოდენობა და მათ შორის, RIA-SME ტესტის დოკუმენტის პროექტში გათვალისწინებული კომენტარების რაოდენობა. შენიშვნების რაოდენობა მცირე და საშუალო საწარმოების RIA-SME ტესტის დოკუმენტის პროექტსა და შემოთავაზებულ კანონმდებლობაზე.

A.2. მცირე და საშუალო ბიზნესზე ზეგავლენის დახასიათება

როდის შეიძლება წარმოეშვას მცირე და საშუალო საწარმოებს ადმინისტრაციული და შესაბამისობის პირდაპირი ხარჯები?

- ✔ *კომპანიის მიერ თქვენს წინადადებაში წარმოდგენილი (მარეგულირებელი) დებულებების განხორციელება მოითხოვს მნიშვნელოვან ერთჯერად ან მიმდინარე ინვესტიციებს და/ან (გარე) ხარჯებს.* თუ თქვენი წინადადების მოთხოვნებთან შესაბამისობა აწესებს მაღალ მატერიალურ დანახარჯებს ან პირველად ხარჯებს, ან/და ზრდის ფიქსირებულ ხარჯებს იმ მასშტაბით, რომელიც არაროპორციულია კომპანიის ზომასთან ან მისი წარმოების მოცულობასთან შედარებით, მსხვილი ბიზნესისგან განსხვავებით, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე, ეს აუცილებლად იქონიებს არაპროპორციულ ზეგავლენას. ასეთი ხარჯები შეიძლება მოიცავდეს სპეციალური ტრენინგის, ახალი ტექნოლოგიების შეძენისა და გამოყენების, აღჭურვილობისა და ინფრასტრუქტურის ადაპტირების, წარმოების პროცესის შეცვლის ან სხვა ეკონომიკური ოპერაციების მართვის ხარჯებს.
- ✔ *კომპანიის მიერ თქვენს წინადადებაში გათვალისწინებული (მარეგულირებელი) დებულებების განხორციელება მოითხოვს შრომატევად ინვესტიციებს.* მსხვილი კომპანიებისგან განსხვავებით, მცირე და საშუალო საწარმოები შესაძლოა არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რადგან IT სისტემები და პროგრამული უზრუნველყოფა არ იყოს ხელმისაწვდომი ან მათი შეძენა/განახლება/შენახვა ძვირი დაჯდეს ან/და არ იყოს საჭირო ცოდნა "Know-How". ასევე, განსხვავდება ადმინისტრაციული ამოცანების შესასრულებლად საჭირო შრომითი ხარჯები მცირე და დიდ კომპანიებს შორის. პერსონალის დრო კრიტიკული მნიშვნელობის ხარჯია, რადგან მცირე ბიზნესებში მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პირადად ბიზნესის მფლობელებს, რომლებიც უფრო ძვირადღირებული მუშახელია, ვიდრე ადმინისტრაციული პერსონალი.
- ✔ *კომპანიის მიერ თქვენს წინადადებაში წარმოდგენილი (მარეგულირებელი) დებულებების შესრულება არ წარმოშობს რუტინულ პროცესს.* გამოცდილება აჩვენებს, რომ საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის დანახარჯები დამოკიდებულია ამ მოთხოვნების უზრუნველყოფის სიხშირეზე. ამის მაგალითია კომპანიიდან წასული თანამშრომლებისთვის სამუშაო სერთიფიკატების შედგენისთვის არსებული მარეგულირებელი სტანდარტები, კერძოდ, რაც უფრო დიდია კომპანია, მით უფრო მეტია სამუშაო სერთიფიკატების გაცემის სიხშირე. ხშირ შემთხვევაში, მცირე და საშუალო საწარმოებს, თანამშრომლეიბის სიმცირის გამო, ამ მიმართულებით ნაკლები გამოცდილება აქვთ მსხვილ ბიზნესთან შედარებით.
- ✔ *კომპანია განიცდის სპეციალისტების ან პასუხიმგებელი პერსონალის ნაკლებობას, რომელთაც ევალებათ თქვენს წინადადებაში გათვალისწინებულ (მარეგულირებელ) დებულებებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.* ხშირ შემთხვევაში, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის შესაბამისობის ხარჯები უფრო მაღალია, ვიდრე მსხვილი ბიზნესისთვის, განსაკუთრებით მაშინ, თუ მცირე კომპანიაში არ არსებობს ცალკე სპეციალური დეპარტამენტები ფინანსური, აუდიტორული, საკადრო თუ

იურიდიული საკითხების მიმართულებით. ხშირად, ასეთი ამოცანების შესრულება უნდა უზრუნველყოს გარე კომერციულმა პარტნიორმა ან განხორციელდეს ნახევარ განაკვეთზე დასაქმებული პერსონალის მიერ, რომელსაც ტრენინგები არ აქვს გავლილი. ეს კი ახანგრძლივებს შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის საჭირო დროს და შესაბამისად, ხარჯებსაც.

გარდა ამისა, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე შესაძლოა არაპროპორციული გავლენა ჰქონდეს სამართლებრივ გაურკვევლობებს ან მარეგულირებელი ცვლილებების დაყოვნებებს, რადგან მსხვილ ბიზნესთან შედარებით, მათი რეზერვები მცირეა, ბაზრის დივერსიფიკაცია და რისკები უფრო შეზღუდული, ხოლო კონკურენცია უფრო მაღალია.

კითხვები, რომლებიც დაგეხმარებათ გაითვალისწინოთ პოტენციურად მნიშვნელოვანი არაპირდაპირი ზეგავლენა:

- ✔ *წარმოქმნის თუ არა მარეგულირებელი წინადადება შესაბამისობის არაპირდაპირ ხარჯებს?* – არაპირდაპირი შესაბამისობის დანახარჯები მეორე რიგის შედეგია იმ ზომებისა, რომლებიც ზეგავლენის ქვეშ მყოფმა ბიზნესმა უნდა განახორციელოს მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ეს შეიძლება იყოს პროდუქციის გამოშვების შეზღუდვა, პროდუქტის წარმოების შემდგომი ხარჯები ან სხვა, დამატებითი ხარჯები ეკონომიკური ოპერატორებისა და სუბიექტებისთვის, გარდა რეგულაციით გათვალისწინებული მიზნებისა.

- ✔ *იწვევს თუ არა წინადადება ჩანაცვლების ეფექტს?* – კერძოდ:

  - გადაინაცვლებენ თუ არა მოქალაქეები ან ბიზნესები, გარდა რეგულირებადი სუბიექტებისა, მიწოდების ალტერნატიულ წყაროებზე?
  - მოქალაქეები ან ბიზნესი, გარდა რეგულირებადი სუბიექტებისა, გადავლენ თუ არა მოხმარების ალტერნატიულ რეჟიმებზე?

  თუ ეს ასეა, უნდა შეეცადოთ ამ ზეგავლენის მონეტიზაციას შეცვლილი ქცევის ალტერნატიული დანახარჯის შეფასებით. ალტერნატიულ დანახარჯში იგულისხმება ის ღირებულება ან დაკარგული ნამეტი ღირებულება იმ პირებისთვის ან ბიზნესებისთვის, რომლებსაც ქცევის შეცვლა მოუწიათ.

- ✔ *იწვევს თუ არა წინადადება ტრანზაქციის ხარჯების გაზრდას?* – ტრანზაქციის ხარჯები, როგორც წესი, რთული დასადგენია და ყველაზე მარტივი და პირდაპირი გზით კონსულტაციების მეშვეობით ფასდება. შეძლებისდაგვარად, უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი კითხვები:

  გაიზრდება თუ არა წინადადების შედეგად:
  - მხარეებს შორის მოლაპარაკებების ხარჯები, მაგ. კოლექტიური გადაწყვეტილებების მისაღებად;
  - კერძო მხარეთათვის ინფორმაციის შეგროვების ხარჯები;
  - სახელშეკრულებო კონტრაქტორის მოძიების ხარჯები;

- კერძო მხარეებს შორის სტრატეგიული ქცევის ალბათობა;
- საპირისპირო მხარის ქცევის მონიტორინგის ხარჯები;
- ეს ხარჯები მიაყენებს, თუ არა ზიანს წინადადების სავარაუდო ეფექტიანობას ან გამო- იწვევს გარიგების გაუქმებას?

✔ *იწვევს თუ არა წინადადება კონკურენციის შემცირებას? – კერძოდ[27]:*

- ამცირებს, თუ არა ინიციატივა ბაზარზე არსებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობას ან დიაპაზონს?
- უქმნის, თუ არა ინიციატივა საფრთხეს ბიზნეს სუბიექტთა კონკურენტუნარიანობას?
- ამცირებს, თუ არა ინიციატივა კონკურენციას ბიზნეს-სუბიექტებს შორის, მათ შორის, ახალისებს თუ არა შეთანხმებებს/გარიგებებს?
- ზღუდავს, თუ არა ინიციატივა მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომ ინფორმაციას და არჩევანს?

შენიშვნა: შეთანხმების/გარიგების შემთხვევაში, ეკონომიკური ლიტერატურა აღნიშნავს, რომ საშუალო ფასნამატად ითვლება ფიქსირებული ფასის დაახლოებით 15-20%-ით ზრდა.

თითოეულ ასეთ შემთხვევაში უნდა ეცადოთ, რომ სამომხმარებლო ნამატის სავარაუდო დანაკარგს ფულადი ღირებულება მიანიჭოთ. აღნიშნული აუცილებლად თითოეული შემთხვევისთვის ცალ-ცალკე უნდა განხორციელდეს.

✔ *იწვევს თუ არა წინადადება ბაზარზე წვდომის შემცირებას?* – არაპირდაპირი ღირებულების შეფასების ერთ-ერთი მეთოდია დაკარგული სამომხმარებლო ნამატის (ინდივიდუალური მომხმარებლისთვის) ან დაკარგული მოგების (ბიზნესისთვის) შეფასება, რომელიც წარმოიქმნება მარეგულირებელი შეზღუდვების შედეგად ბაზარზე წვდომის დაკარგვის გამო ან ბაზრის ზედა დონის მოთამაშეებზე რეგულაციით დაწესებული ხარჯების შედეგად.

✔ *იწვევს თუ არა წინადადება ინვესტიციების ან ინოვაციების შემცირებას?* – ზოგადი ინდიკატორებია - გაცემული პატენტების რაოდენობა, R&D ინვესტიციების მოცულობა, ტექნოლოგიების გადაცემის რაოდენობა და ა.შ.

როდის შეიძლება წარმოიშვას დამატებითი არაპირდაპირი ხარჯები?

✔ *წინადადება იწვევს უარყოფით შედეგებს ეკონომიკური სუბიექტების ბაზრის წილის ან ბრუნვის მაჩვენებელზე ან/და ქმნის შიდა თუ საერთაშორისო ბაზარზე შესვლის (ან დარჩენის) ბარიერებს.* თუ წინადადება ართულებს კომპანიების ბაზარზე დარჩენას ან მათ ახალ ბაზარზე შესვლას, ამ შემთხვევაში მცირე და

27. კონკურენციაზე ზეგავლენის შეფასების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხ. ევროკომისიის უკეთესი რეგულირების ინსტრუმენტები, ინსტრუმენტი N24 კონკურენციის შესახებ (https://commission.europa.eu/law/law-making-process/planning-and-proposing-law/better-regulation/better-regulation-guidelines-and-toolbox/better-regulation-toolbox_en); და შესაბამისი OECD ინსტრუმენტები (https://www.oecd.org/daf/competition/assessment-toolkit.htm).

საშუალო საწარმოები განსაკუთრებით დაუცველი კატეგორიაა, რადგან „აღარ ღირს" ბაზარზე ოპერირება. ბაზარზე დარჩენის ფასი მეტისმეტად გაზრდილია და ამ საწარმოების კონკურენტუნარიანობა მკვეთრად შემცირებული. ეს ეხება საერთაშორისო ბაზრებსაც (მაგ. ვაჭრობაში არასატარიფო ბარიერების გამო).

- ✔ *წინადადება გავლენას ახდენს მიწოდების ჯაჭვის გასწვრივ არსებული წარმოების ფაქტორებზე წვდომასა და ფასზე.* მცირე ფირმებს აქვთ ნაკლები შესაძლებლობები, მოერგონ ახალ საბაზრო პირობებს და ძირითადად დამოკიდებულნი არიან მომწოდებლებისა და მომხმარებლების მცირე რაოდენობაზე. პროდუქტებზე, ტექნოლოგიებზე, აღჭურვილობაზე, ფინანსურ რესურსებზე (მაგ. უცხოური კაპიტალი ან კრედიტები) წვდომის შეზღუდვა უფრო მწვავედ მოქმედებს მცირე და საშუალო საწარმოებზე, ვიდრე მსხვილ კომპანიებზე, რადგან მცირე და საშუალო ბიზნესი, როგორც წესი, ფასის მიმღებია და ნაკლები შესაძლებლობები აქვს მიწოდების ჯაჭვის დივერსიფიკაციისთვის.
- ✔ *წინადადება აძვირებს კვლევასა და განვითარებას (R&D).* ყველაზე დინამიური მცირე და საშუალო ზომის საწარმოები ხშირად ოპერირებენ ინოვაციურ ბაზრებზე და მუშობენ მაღალი დამატებული ღირებულების მქონე ბიზნეს მოდელებზე. შესაბამისად, R&D ინვესტიციები მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. რეგულაციებს, რომლებიც უარყოფითად ზემოქმედებენ R&D მიმართულებით რესურსების გამოყოფის სტიმულებზე, არაპროპორციული ზეგავლენა აქვთ მცირე და საშუალო საწარმოებზე, რადგან ეს საწარმოები ფიქსირებული ბიუჯეტით საქმიანობენ, არ აქვთ წვდომა კაპიტალის საერთაშორისო ბაზრებზე და ვერ სარგებლობენ მასშტაბის ეკონომიით. ინოვაციებზე უარყოფითი ზემოქმედების მაგალითი შეიძლება იყოს უსაფრთხოების შეფასების უფრო მკაცრი სტანდარტები ან პატენტიდან გამომდინარე არსებული შეზღუდვები, ასევე, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სუსტი დაცვა.

A.3. კონსულტაციები და მონაცემების შეგროვება RIA-SME ტესტისთვის

A.3.1. კონსულტაციის სტრატეგია

კონსულტაციებიდან მაქსიმალური შედეგის მისაღწევად და ამ ეტაპის ეფექტიანად მომზადებისა და წარმართვისათვის, უნდა შემუშავდეს კონსულტაციების გეგმა ან სტრატეგია. კითხვები, რომლებიც შესაძლოა ამ პროცესში დაგესმაროთ, შემდეგია:

- ✔ *რა არის კონსულტაციის მიზანი?* – კონსულტაციები ახალი იდეების, სხვადასხვა შეხედულებისა და მოსაზრების გენერირებაში, ფაქტობრივი ინფორმაციის, მონაცემებისა და ცოდნის შეგროვებაში, არსებული იდეების ტესტირებასა ანალიზის პროცესში გეხმარებათ. კონსულტაციის მთავარი მიზნის განსაზღვრა მნიშვნელოვანია კონსულტაციის ყველა შემდგომ საფეხურზე.
- ✔ *ვისზე ახდენს გავლენას მარეგულირებელი წინადადება* – წინადადების გავლენის ქვეშ მყოფი დაინტერესებული მხარეების (კონკრეტულ სექტორში მოქმედი კერძო კომპანიები, ასოციაციები, დარგობრივი პალატები) სიის შედგენა უმნიშვნელოვანესია ყველა ჯგუფის სათანადო წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად და შემდგომში, კონსულტაციის ყველაზე მართებული მეთოდის ასარჩევად.
- ✔ *რა არის შემოთავაზებული მარეგულირებელი წინადადებისათვის კონსულტაციის ყველაზე შესაფერისი ფორმატი?* – არსებობს კონსულტაციის რამდენიმე ფორმატი: მრგვალი მაგიდის დისკუსია, ფოკუს-ჯგუფების შეხვედრა, ინტერვიუები მიზნობრივად მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან, მცირე და საშუალო ბიზნესის პანელები და ა.შ. კონსულტაციის ყველაზე მორგებული ფორმატის შერჩევისას, გაითვალისწინეთ წინადადების კომპლექსურობა და მისი გავლენა.
- ✔ *როგორ განხორციელდეს კონსულტაციის შერჩეული ფორმატი ეფექტიანად?* – განსაზღვრეთ, რა ფორმით მიაწვდით დაინტერესებულ მხარეებს კონსულტაციის შესახებ ინფორმაციას და როგორ იქნება ფორმულირებული მონაწილეობის თხოვნა. გასათვალისწინებელია:

  - *სამიზნე აუდიტორია – ვინ არიან ის დაინტერესებული მხარეები, რომლებზეც წინადადება გავლენას ახდენს და შესაბამისად, აუცილებელია მათთან დაკავშირება?*
  - *სამიზნე აუდიტორიასთან დაკავშირების საუკეთესო მეთოდები – რა არის საუკეთესო გზა დაინტერესებულ მხარეებთან დასაკავშირებლად (პირდაპირი კონტაქტი, ბიზნეს-ასოციაციების, სექტორული პალატების ან არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით)?*
  - *კომუნიკაციის ყველაზე მორგებული საშუალებები – რა არის საუკეთესო საშუალება დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციისთვის (მაგ., ელექტრონული ფოსტით კომუნიკაცია, პირისპირ შეხვედრები, სოციალური მედიის პოსტები)?*

- ✔ *როგორ მოვამზადოთ და წარვადგინოთ კონსულტაციების შედეგები?* შედეგების წარდგენისას დარწმუნდით, რომ ჩატარებული კონსულტაციების ანგარიში ყველა საჭირო ინფორმაციას მოიცავს. კერძოდ, არის თუ არა წარმოდგენილი შემოთავაზებული პოლიტიკის ალტერნატივის სახელი, ჩართული დაინტერესებული მხარეების სია, კონსულტაციის პერიოდი, მიღებული კომენტარები და შეთავაზებები, დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირი და სხვ.

ჩანართი A.3.1.1. კონსულტაციის სტრატეგია[28]

კონსულტაციის სტრატეგია კონსულტაციის მიზნის უკეთ განსაზღვრას, ასევე, პროცესის ეფექტიანად და შედეგიანად წარმართვას უწყობს ხელს. კონსულტაციის სტრატეგია შემდეგ ძირითად ელემენტებს უნდა მოიცავდეს: კონსულტაციის მასშტაბი და ამოცანა, დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება, გათვალისწინებული საკონსულტაციო აქტივობები, კონსულტაციის დროისა და საკომუნიკაციოა ენის საკითხები.

1. კონსულტაციის არეალისა და მიზნის განსაზღვრა

- ✔ საწყის ეტაპზე, სამართლებლივი ან პოლიტიკური შეზღუდვების გამო, მკაფიოდ განმარტეთ, თუ რა არის „არეალში" და „არეალს გარეთ";
- ✔ შეადგინეთ ხელმისაწვდომი წყაროებისა და ინფორმაციის ჩარჩო, რაც ასევე მოიცავს ძველი, მაგრამ ჯერ კიდევ მოქმედი დაინტერესებული მხარეების საკონსულტაციო სამუშაოების მიმოხილვას;
- ✔ დაადგინეთ რა ტიპის ინფორმაცია აკლია და რა არის საჭირო პოლიტიკის განხილული ალტერნატივის შესაფასებლად: რაოდენობრივი ან ხარისხობრივი მონაცემები;
- ✔ დაადგინეთ ინფორმაციის მოსაპოვებლად რა წყაროების გამოყენება არის შესაძლებელი;
- ✔ განსაზღვრეთ კონსულტაციის ჩასატარებლად საჭირო დაინტერესებული მხარეთა ჩართულობის არეალი;
- ✔ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ სენსიტიურ, საკამათო ან ძალიან გაურკვეველ საკითხებს, რომლებიც შესაძლოა დამატებით განხილვას დაექვემდებაროს;
- ✔ გქონდეთ ინფორმაცია ე.წ. „ბრმა წერტილების" შესახებ რომლებიც წარმოადგენენ თვალთახედვის მიღმა დარჩენილ პოტენციურ საკითხებს და რომლებიც შესაძლოა კონსულტაციის პროცესში გამოვლინდეს (მაგ. არაპირდაპირი ხარჯები, გაუთვალისწინებელი შედეგები).

2. დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება

- ✔ ასახეთ დაინტერესებული მხარის ყველა კატეგორია, რომელიც რელევანტურია ან დაინტერესებულია განხილული პოლიტიკის ალტერნატივებით;
- ✔ მოახდინეთ დაინტერესებული მხარეების კლასიფიცირება ჯგუფებად, დაინტერესების ხარისხის ან პოლიტიკის ალტერნატივებზე გავლენის დონის მიხედვით;
- ✔ განსაზღვრეთ სამიზნე ჯგუფები, რომლებიც კონსულტაციის პროცესიდან გამორიცხვის რისკის ქვეშ არიან (არ შემოიფარგლოთ მხოლოდ აშკარად დაინტერესებული მხარეებით);
- ✔ გამოიყენეთ დაინტერესებული მხარეების არსებული სიები, რომელიც შეგროვდა წინა კონსულტაციების პროცესში ან სხვა კავშირების, ექსპერტთა ჯგუფების, სხვადასხვა რეესტრის გზით, რომელშიც შესაძლოა რეგისტრირებული იყოს დაინტერესებული მხარე და სხვ.).

28. . ეს მითითებები გამომდინარეობს ევროკომისიის უკეთესი რეგულირების ინსტრუმენტებიდან (ინსტრუმენტი #52, კონსულტაციების სტრატეგია, https://commission.europa.eu/system/files/2023-07/BRT-2023-Chapter%20 7-Stakeholder%20 consultation.pdf).

3. კონსულტაციის პროცესის ეტაპების, ვადების და ხელმისაწვდომობის განსაზღვრა

- ✔ პოლიტიკის ალტერნატივების ხასიათის, კონსულტაციის მასშტაბის, გამოვლენილი დაინტერესებული მხარეებისა და ხელმისაწვდომი დროისა თუ რესურსების მიხედვით, შეარჩიეთ ყველაზე შესაბამისი კონსულტაციის მეთოდი.
- ✔ წინასწარ დაგეგმეთ: გაითვალისწინეთ კონსულტაციის პროცესის ვადები და განსახორციელებელი საოპერაციო ღონისძიებები;
- ✔ უზრუნველყავით საკონსულტაციო აქტივობების სათანადო მასშტაბი შერჩეული ალტერნატივის ფარგლების და გავლენის გავრცელების მიხედვით;
- ✔ უზრუნველყავით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების თანაბარ პირობებში მონაწილეობა კონსულტაციების პროცესში;
- ✔ კონსულტაციების სტრატეგიის ფარგლებში შეიმუშავეთ საკომუნიკაციო გეგმა, რომელიც შესაბამის სამიზნე ჯგუფებთან (იდენტიფიცირებული დაინტერესებული მხარეები) ეფექტიან კავშირს უზრუნველყოფს. კომუნიკაციის გეგმის მიხედვით, კომუნიკაციის ყველაზე ეფექტიანი საშუალებები უნდა განისაზღვროს (პუბლიკაციები, პირისპირ შეხვედრები, სოციალურ მედიაში გამოქვეყნებული ინფორმაცია და სხვ.), სამიზნე დაინტერესებული მხარეებისა და კონსულტაციის შერჩეული მეთოდის გათვალისწინებით.

A.3.2. მონაცემთა შეგროვებისა და კონსულტაციის მეთოდები

მცირე და საშუალო საწარმოებთან კონსულტაციის ეფექტიანობის მაქსიმიზების მიზნით, შეგიძლიათ მონაცემთა შეგროვებისა და კონსულტაციის სხვადასხვა სპეციფიკური მეთოდი გამოიყენოთ. ამ ნაწილში წარმოდგენილია რამდენიმე მათგანი.

კონსულტაციის კონკრეტული მეთოდი იმის მიხედვით უნდა აირჩიოთ, თუ რისი მიღწევა გსურთ ან/და საჭიროა მიაღწიოთ კონსულტაციით და ამასთან, თუ რა მასშტაბით ახდენს შემოთავაზებული წინადადება გავლენას მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე. ასევე, უნდა კონსულტაციის გეგმაში გაითვალისწინოთ დაინტერესებულ მხარეებთან დაკავშირების დრო და ხარჯები სტრუქტურირებული სახით. ასევე, შესაძლებელია სხვადასხვა მეთოდის კომბინირება, მაგალითად, შესაძლებელია კონსულტაციის გამეორება (რაუნდების სახით) ან სხვა მეთოდების გამოყენება.

თუ პირველადი კონსულტაციის შედეგად შეგროვებული მონაცემები საჭიროებს შემდგომ ვალიდაციას, ჩაატარეთ დამატებითი ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან (პირისპირ ან სატელეფონო კომუნიკაციით) მიღებული პასუხების დასადასტურებლად.

1) ინტერვიუ დაინტერესებულ მხარეებთან

პირდაპირი (პირისპირ) ინტერვიუები ზეგავლენის ქვეშ მყოფ დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის პროცესში ინფორმაციის შეგროვების ყველაზე სასურველი მეთოდია. ამ ინტერვიუების ხანგრძლივობა როგორც წესი 1-2 საათია, რაც დამოკიდებულია წინადადების კომპლექსურობასა და არსებულ რესურსებზე. განსაკუთრებით კომპლექსური წინადადებების შემთხვევაში, შესაძლებელია პროცესში დამატებითი

ინტერვიუერის ჩართვა გახდეს საჭირო. ინტერვიუები სტრუქტურირებულია, როგორც დიალოგი ინტერვიუერს (ინიციატორისამინისტროს ან მარეგულირებელი სააგენტოს წარმომადგენელი) და სუბიექტს (დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს) შორის. ინტერვიუ შეიძლება ჩატარდეს ტელეფონით ან ვიდეო კონფერენციის პლატფორმების საშუალებით. ამ შემთხვევაში, სასურველია ინტერვიუს ხანგრძლივობის 30-60 წუთამდე შეზღუდვა.

არსებობს რამდენიმე გზა იმის დასადგენად, თუ რომელ დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარდეს ინტერვიუ. მარეგულირებელი წინადადების ზეგავლენის ქვეშ მყოფი მცირე და საშუალო საწარმოების წარმომადგენლების შერჩევა შესაძლებელია შემთხვევითობის პრინციპით, იმის გათვალისწინებით, რომ ბიზნესის რეპრეზენტატულ ნაწილს აუცილებლად დაუკავშირდებით (მაგ. თუ წინადადება თანაბარ გავლენას ახდენს მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებზე, მაშინ, თითოეული ჯგუფიდან მინიმუმ ერთ წარმომადგენელს მაინც უნდა დაუკავშირდეთ). დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები, ასევე, შეიძლება შეირჩნენ ბიზნეს/სავაჭრო ასოციაციებისა და სექტორული პალატების დახმარებით.

ინტერვიუს ჩატარებამდე, მნიშვნელოვანია იმის დადგენა, რომ წინადადება ნამდვილად ახდენს გავლენას შერჩეულ დაინტერესებულ მხარეებზე. ნებისმიერი წინასწარ მომზადებული მასალა (სახელმძღვანელო მითითებები, კითხვები და ა.შ.) შესაძლებლობის შემთხვევაში, წინასწარ უნდა გაეგზავნოს დაინტერესებულ მხარეებს. ინტერვიუს დროს აუცილებლად გამოიყენეთ მკაფიო და ლაკონური ენა, ასევე, დაუთმეთ გარკვეული დრო დაინტერესებული მხარეების შენიშვნებსა და შემოთავაზებებს, რომლებიც შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს შემოთავაზებული წინადადების შესაძლო გაუთვალისწინებელი შედეგების იდენტიფიცირებაში.

დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული ინფორმაციის გადამოწმების აუცილებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია ჩატარდეს დამატებითი ინტერვიუები.

2) ფოკუს-ჯგუფის შეხვედრები

ფოკუს-ჯგუფის შეხვედრები, როგორც წესი, განკუთვნილია უფრო კომპლექსური წინადადებებისთვის. პროცესის ორგანიზება შესაძლებელია ბიზნეს ასოციაციებთან, სექტორულ პალატებთან ან სხვა შესაბამის ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, რომელთაც აქვთ შესაძლებლობა უზრუნველყონ დაინტერესებული მხარეებისა (რომლებზეც ზეგავლენას ახდენს წინადადება) და დამატებითი ექსპერტების სიის შედგენა კონკრეტული სექტორებიდან (მაგ., ბუღალტერიის მიმართულებით). შესაძლებლობის შემთხვევაში, რეკომენდებულია, რომ 3 ფოკუს ჯგუფი ჩატარდეს და თითოელ ჯგუფში მინიმუმ 6 მონაწილე იყოს. მონაწილეები შესაძლებელია კლასიფიცირდნენ ბიზნესის ზომის (მაგ. ცალკე ფოკუს-ჯგუფი მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის), საქმიანობის ან ბიზნეს სექტორის მიხედვით. ფოკუს-ჯგუფების ორგანიზებისას გაითვალისწინეთ, რომ მონაწილეთა რაოდენობა არ აღემატებოდეს 12-ს, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროდუქტიული და ეფექტიანი დისკუსიის პროცესი.

ინტერვიუების მსგავსად, შესაძლებლობის შემთხვევაში, ყველა შესაბამისი ინფორმაცია და მოსამზადებელი მასალა წინასწარ უნდა დაეგზავნოს მონაწილეებს. ფოკუს ჯგუფების შეხვედრის პროცესი უნდა გაგრძელდეს საშუალოდ 2-3 საათის განმავლობაში, შემოთავაზებული წინადადების კომპლექსურობის გათვალისწინებით. აღნიშნულის შემდგომ, შეხვედრის შემაჯამებელი ანგარიში, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ძირითადად განხილულ საკითხებთან და წარმოდგენილ წინადადებებთან დაკავშირებით, უნდა გაეგზავნოს ყველა მონაწილეს, დამატებითი წინადადებების წარმოდგენის ან/და კომენტარების შესაძლებლობით.

3) გამოკითხვები

გამოკითხვების მეთოდი მონაცემთა შეგროვების მეთოდია იმ შემთხვევაში, როდესაც ინდივიდუალური ინტერვიუები/ შეხვედრები შეუძლებელია და საქმე გვაქვს დაინტერესებული მხარეების დიდ რიცხვთან. ყველა რესპონდენტს ეგზავნება იდენტური კითხვარი, შესაძლო პასუხების იდენტური არჩევანით. გამოკითხვები შესაძლებელია ჩატარდეს რამდენიმე გზით, მათ შორის — პირისპირ, ტელეფონით, ვიდეო კონფერენციის პლატფორმით, ელექტრონული ფოსტით, ასევე, საფოსტო სერვისის საშუალებით. თითოეულ მეთოდს აქვს როგორც დადებითი, ასევე, უარყოფითი მხარე ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა გამოპასუხების მაჩვენებელი და ხარჯები. ამასთან, გამოკითხვების მეთოდი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მონაცემთა შეგროვების სხვა მეთოდებთან ერთად (ფოკუს-ჯგუფების მეთოდის გამოყენება შესაძლებელია უფრო მეტად თვისებრივი მონაცემების, ხოლო გამოკითხვების მეთოდი - რაოდენობრივი მონაცემების შეგროვებისთვის).

კითხვარის მომზადებისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნას შემდეგი საკითხები:

- ✔ *კითხვები* – კითხვები უნდა იყოს მკაფიო, ლაკონური და ნეიტრალური. გამოყენებული საკომუნიკავიო ენა უნდა იყოს მარტივად გასაგები და დაინტერესებულ მხარეებზე მორგებული. რესპოდენტებს უნდა მიეცეთ კომენტარის, მოსაზრების ან პასუხის დაზუსტების შესაძლებლობა. გამოიყენეთ ღია და დახურული კითხვების კომბინაცია.
- ✔ *ფორმატი* – კითხვარის ფორმატი მორგებული უნდა იყოს სამიზნე აურიტორიაზე. უზრუნველყავით მარტივი ფორმატი, რომლის შევსება არ მოითხოვს დიდ დროს; გაითვალისწინეთ ონლაინ ინსტრუმენტების გამოყენების შესაძლებლობა. დარწმუნდით, რომ შედგენილია მოკლე ინსტრუქცია და საკონტაქტო ინფორმაცია იმ შემთხვევებისათვის, თუ კითხვარის შევსების პროცესში დამატებითი ინფორმაციის მიღება გახდება საჭირო.
- ✔ *დრო* – მიუთითეთ კითხვარის შევსებისათვის საჭირო სავარაუდო დრო. ასევე, კითხვარის შევსების საბოლოო ვადის განსაზღვრისას, დარწმუნდით, რომ დაინტერესებულ მხარეებს პასუხების გასაცემად საკმარისი დრო აქვთ.
- ✔ *დაინტერესებული მხარეები* – კითხვარი შესაძლებელია გაიგზავნოს უშუალოდ შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან ან ბიზნეს ასოციაციებთან, ასევე, სექტორულ პალატებთან, და ამ გზით გავრცელდეს მათ წევრებში, შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით.